ერთიანი თავისუფლების გზით – პიროვნული თავისუფლებისაკენ!
პიროვნული თავისუფლების გზით – ერთიანი თავისუფლებისაკენ!

საქართველო

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი. გამოდის ოთხშაბათს | №2 (1631) | 10–13 იანვარი 1998 წ. | ფასი 50 თეთრი

ამათ, ყოფილ კომუნისტებს, დიდხანს არ გაუვათ...

3

«ძირს ხუნტა» – იყვირა სასამართლოდან გამოსულმა კლარა შუკვანმა

2 წლით პირობით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა მთაწმინდის სასამართლოს მოსამართლემ, სამსონ დადიანმა საქართველოს ჰელსინკის კავშირის ცხუმ-აფხაზეთის რეგიონალური ორგანიზაციის წევრს კლარა შუკვანს.

სასამართლოს დღეანდელ სხდომაზე პროკურორმა კლარა შუკვანისათვის მოითხოვა 3 წლით თავისუფლების აღკვეთა პირობითად. განსასჯელის ადვოკატმა, თემურ გვიშიანმა თავის გამოსვლაში აღნიშნა, რომ კლარა შუკვანი შეთითხნილი და მოგონილი ბრალდებებით არის დაკავებული და ძალიან სასაცილოა, როცა 14 ვაუკაცი-პოლიციელი ერთხმად ამბობს, რომ შუკვანმა მათ შეურაცხყოფა მიაყენა.

კლარა შუკვანი გასული წლის ოქტომბერში დააკავეს ბოროტი ხულიგნობის ბრალდებით იმის გამო, რომ მას 1997 წლის აგვისტოში სასტუმრო „იევრიასთან“ გამართულ მიტინგზე ხელში ეჭირა პრეზიდენტის ღირსების შეურაცხმყოფელი პლაკატი.

სასამართლოს გუშინდელ სხდომაზე პროკურორმა, თამილა პაპავამ აღნიშნა, რომ მსგავსი საქციელი შეუფერებელია არა მარტო ქალ-

გაგრძელება მეორე გვერდზე

კანონზე ვმუშაობდით და კანონის მოთხოვნაზე ვერ გამოვცხადდითო

გუშინ ვაკის სასამართლოში დემურ მიქაძისა და „რუსთავი-2“-ის პროცესი უნდა დაწყებულიყო. ტელეკომპანიის დამფუძნებელმა ეროსი კიწმარიშვილმა განაცხადა, რომ იგი მასმედიის წარმომადგენლებთან ერთად რამდენიმე დღე გუდაურში იმყოფებოდა, სადაც პრესის კანონზე მუშაობდნენ. ამ საპატიო მიზეზის გამო, ტელეკომპანიის პირადი ადვოკატის მოუცლელობის გამო, ახალი დამცველის აყვანა ვერ მოასწრეს და საქმის გასაცნობად პროცესის კელავ გადადება ითხოვა.

დ.მიქაძის ადვოკატმა ოთარ ბერიშვილმა აღნიშნა, რომ მოწინააღმდეგე მხარე პროცესს ხელოვნურად განზრახ აჭიანურებს და სასამართლო კოლეგიას ქმედითი ზომების მიღებისკენ მოუწოდა. თავად დემურ მიქაძემ უკმაყოფილება გამოთქვა, რომ „კურიერი“ მის სადისკრედიტაციო სიუჟეტებს კელავაც გადასცემს და ეროსი კიწმარიშვილს ორმხრივი ტაიმაუტი ურჩია.

მოსამართლე ი.გაგუამ კი ორივე მხარეს შერიგება შესთავაზა, რის საშუალებასაც კანონმდებლობა იძლევა. მანამდე კი პროცესი 20 იანვრისთვის გადაიდო.

გუბაზ მეგრელიძე

„ლევან ფაშა“ „საკალხოლების“ ახალი სამიზნე გახდა

2

ლატარია ყველასთვის

12

«ლევან ფაშა» «სახალხოელების» ახალი სამიზნე გახდა

ფრაქცია „სახალხომ“ ანტიეროვნულ საქმიანობაში დასდო ბრალი პრეზიდენტის რწმუნებულს ქვემო ქართლში, ლევან მამალაძეს, რომლის საქმიანობაც „სახალხოელთა“ განცხადებით, საქართველოს პრეზიდენტის წინააღმდეგაა მიმართული.

„სახალხოელები“ თვლიან, რომ „ქრისტიანულ და მუსულმანურ დემოკრატთა კავშირის“ წევრის, მარნეულის სარაიონო ორგანიზაციის თავმჯდომარის, ტოფიკ გაჯიევის მიმართ ლევან მამალაძემ განახორციელა პოლიტიკური დევნა და ფსიქოლოგიური ზეწოლა.

„ქრისტიანულ და მუსულმანურ დემოკრატთა კავშირის“ თავმჯდომარის, ამირან შუბითიძის განცხადებით, უკანონოდ იქნა გათავისუფლებული მარნეულის რაიონის განათლების განყოფილების გამგის თანამდებობიდან და მისი გათავისუფლება ქვემო ქართლის გუბერნატორის ბრძანებით მოხდა.

შუბითიძის თქმით, ლევან მამალაძე ანუ „ფაშა ლევანი“ ოცდაათიანი წლების საბჭოური წნეხით მოქმედებს და არაფრად თვლის ედუარდ შევარდნაძეს.

„სახალხოს“ აზრით, ქვემო ქართლის გუბერნატორი რეგიონის ერთპიროვნული მმართველია, რომლის სეპარატიზმმაც შესაძლოა საშიშ მოვლენებამდე მიიყვანოს ისეთი სპეციფიური რეგიონი, როგორიც მარნეულია, სადაც მაცხოვრებელი 140 ათასი მოსახლიდან დიდი ნაწილი საქართველოში მცხოვრებ ეროვნულ უმცირესობას მიეკუთვნება. „სახალხო“ ფრაქცია თვლის, რომ შესაძლოა მამალაძის სეპარატიზმმა აფხაზეთისა და ოსეთის მსგავსი დაპირისპირება გამოიწვიოს. (გეა)

ქვემო ქართლის გუბერნატორი ალაპარაკდა

ლევან მამალაძის კომენტარი „სახალხოს“ განცხადებაზე

ტოფიკ გაჯიევი, რომლის გამოც მორიგი აუიოტაჟი ატყდა, დეპუტატ ამირან შუბითიძის რეკომენდაციით ორი წლის წინ მარნეულის განათლების განყოფილების უფროსად დაინიშნა. ლევან მამალაძის ინფორმაციით, გაჯიევმა თავი ვერ გაართვა რეგიონში განათლების პოლიტიკის წარმართვას და ვერ დააკმაყოფილა განათლების სამინისტროს მიერ წაყენებული მოთხოვნები. უფრო მეტიც, მამალაძის მტკიცებით, გაჯიევის მოღვაწეობის დროს გამოვლინდა სერიოზული დარღვევები. კერძოდ, ჯერ კიდევ 1997 წელს ერთ–ერთი სკოლის დირექტორის წინააღმდეგ ყალბი ატესტატების გაცემასთან და გაყიდვასთან დაკავშირებით სისხლის სამართლის საქმე აღიძრა და სკოლის დირექტორი ამჟამად ძებნაშია. ძიების შედეგად დადგინდა, რომ გაჯიევი ატესტატების საქმეში არც თუ ისე უბრალო იყო, როგორც ამას ფრაქცია „სახალხო“ და „ქრისტიანულ და მუსულმანურ დემოკრატთა კავშირი“ ამტკიცებდა. ამავე დროს, გაჯიევს ბრალად ედება აზერბაიჯანული სკოლებისთვის შემოტანილი ჰუმანიტარული წიგნების გაყიდვა, რაც ძირითადი საფუძველი გახდა გაჯიევის მოხსნისა.

ლევან მამალაძის ინფორმაციით, საქმეში პოლიტიკური ძალები ჩაერიენ და ცდილობენ კრიმინალური საქმე პოლიტიკურ სიბრტყეში გადაიყვანონ. იმუქრებიან დესტაბილიზაციით, რაც მათ პარლამენტში პოლიტიკური სპეკულაციისა და ეაჭრობის საშუალებას აძლევს. პრეზიდენტის რწმუნებული აცხადებს, რომ მის წინააღმდეგ წამოწყებული კამპანია „მოქალაქეთა კავშირის“ წინააღმდეგ არის მიმართული. ამასთან დაკავშირებით, მამალაძე მიიჩნევს, რომ პოლიტიკური ბრძოლისათვის თავად იგი და მოქალაქეთა კავშირი მზადაა, მტყუან–მართალის გარჩევას კი განცხადების ავტორთ სასამართლოში ურჩევს. მამალაძის აზრით, „სახალხოსა“ და „ქრისტიანულ და მუსულმანურ დემოკრატთა კავშირის“ მიერ წამოწყებული ისტერიული კამპანია გაგრძელებაა იმისა, რაც ავთანდილ მარგიანისა და სხვების ხელმძღვანელობით დაიწყო. „მე მგონი ეს ალიანსი უკვე მტკიცდება „სახალხო ფრაქციის“ მიმართულებითაც. ისეთი საინტერესო დრო მოდის, როცა ე.წ. „ეროვნული ძალები“ წითლდებიან და ნეოკომუნისტებს უკავშირდებიან“.

რაც შეეხება „ქრისტიანულ და მუსულმანურ დემოკრატთა კავშირის“ და „სახალხოს“ განცხადებაში მოყვანილ „კომკავშირული კეკლუცობის“ ფაქტს, მამალაძე დაინტერესებულ პირებს მოუწოდებს შეისწავლონ განცხადებაზე ხელმომწერი – ამირან შუბითიძისა და ვახტანგ ტალახაძის კომკავშირული მოღვაწეობა და ის, თუ ვის რა პოსტი ეკავა უახლოეს წარსულში.

ამირან შუბითიძე მუშაობდა მარნეულის პოლიციის უფროსად. ეს ის პერიოდია, როცა მხედრიონი ბოგინობდა. ლევან მამალაძის ინფორმაციით, ამ დროს რეგიონიდან უკანონოდ, დიდი რაოდენობით, ვაგონებით სომხეთში ბენზინი გაჰქონდათ. ლევან მამალაძე გვპირდება, რომ ამ თემებს უახლოეს მომავალში დაუბრუნდება. (გეა)

ჯაბას პროცესს „მემორიალის“ წევრები დაესწრებიან

14 იანვარს თბილისში ჯაბა იოსელიანისა და სხვა 14 განსასჯელის პროცესზე ცნობილი სამართალდამცავი, საერთაშორისო ორგანიზაცია „მემორიალის“ წევრი, ალექსანდრე სოკოლოვი ჩამოვა, – განაცხადა ჯაბა იოსელიანის საზოგადოებრიკმა დამცველმა, გელა ნიკოლაიშვილმა.

პროცესის მსვლელობისას, ვინაიდან მოსალოდნელია, რომ იგი ნახევარ წელზე მეტ ხანს გაგრძელდება, დროდადრო სოკოლოვს იმავე საზოგადოების წევრი, ვალენტინ გეფტერი შეენაცვლება. გელა ნიკოლაიშვილის თქმით, სერგეი კოვალიოვი ავადმყოფობის გამო პროცესზე ვერ ჩამოვა.

12 იანვარს კი უზენაეს სასამართლოში დაიწყება ყოფილი შინაგან საქმეთა მინისტრის, თემურ ხაჩიშვილის დაკითხვა. თემურ ხაჩიშვილი და 14 ბრალდებული დაიკითხება 29 აგვისტოს ტერაქტთან დაკავშირებით. მოსამართლე ჯემალ ლეონიძემ უკვე დაამთავრა საბრალდებო დასკვნის კითხვა, რომლის მოცულობა 800 ფურცლამდე იყო. (გეა)

ზურაბ მახარაძე: არქივი ერის დოკუმენტური მეხსიერებაა

ინტერვიუ საქართველოს სახელმწიფო საარქივო დეპარტამენტის თავმჯდომარესთან, ბატონ ზურაბ მახარაძესთან

სახელმწიფო არქივის ულამაზესი შენობა. გარედან მტერს უბრმავებს თვალს და შიგნიდან მოყვარეს, როგორც გარეთ ცივა, ისე შიგნით. ელექტროენერგიას მოსახლეობის გრაფიკით აწვდიან, ანუ დილით და ღამით, სამსახურის საათებში კი თელასი ცდილობს არქივის მცირეხელფასიანი მუშაკებისაგან ახალი ყინვაგამძლე ჯიშის ადამიანები გამოიყვანოს. როცა ისინი არიან, დენი არ არის, როცა დენია, ისინი იქ აღარ არიან... ესეც თელასის ახალი გამოგონება...

დეპარტამენტის თავმჯდომარე ბატონი ზურაბ მახარაძე კაბინეტში პალტოგახდილი მხვდება ანუ ნამდვილი ქართველი ინტელიგენტია, ჯერ ეტიკეტი, სიცივე ჯანდაბას.

ადრე მმართველობით სტრუქტურებში დიდ თანამდებობებზე უმუშავია, შრომისმოყვარეობისა და საქმისადმი ერთგულების გამო ვერცერთი ცვლა მდივანი ვერ შეელია. საქართველოს არქივის ხელმძღვანელად გამსახურდიას ხელისუფლების დროს დაინიშნა. მახარაძე კი ვარ, მაგრამ იმ ავადსახსენებელი მახარაძისა არაფერი მცხიაო – ამბობს და პატრიოტ მახარაძეებს ჩამოთვლის.

არქივი გასაჭირშია, მაგრამ თავმჯდომარე იმედიანად არის, იმედი აქვს პრეზიდენტის, კაბინეტს პრეზიდენტის სურათი უმშვენებს.

ინტერვიუ მისი დაბადების დღეს დაემთხვა. 9 იანვარს ზურაბ მახარაძეს 65 წელი შეუსრულდა. ვსარგებლობთ შემთხვევით და ვულოცავთ საიუბილეო თარიღს.

– ბატონო ზურაბ, ჩვენ ახლა ვიმყოფებით იმ შენობაში, რომლის გარეგნული იერით თბილისელები შესაძლოა მოხიბლულნი არიან, მაგრამ დარწმუნებული ვარ, მათმა დიდმა უმრავლესობამ

გაგრძელება ე-11 გვერდზე



«ძირს ხუნტა» – იყვირა სასამართლოდან გამოსულმა კლარა შუკვანმა

პირველი გვერდიდან

ისთვის, არამედ კაცისთვისაც, რადგან საქართველოში ქალი ყოველთვის სიწმინდის ეტალონი იყო.

მას შემდეგ, რაც შუკვანი სასამართლოს დარბაზიდან გაათავისუფლეს, მან იქვე ხელში დაიკავა ექსპრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას პორტრეტი. სასამართლოს მსვლელობისას კი დარბაზში მას ყოველთვის ღვთისმშობლის ხატი ჰქონდა თან და ამბობდა, რომ ეს ხატი იყო მისი მფარველი.

დარბაზიდან გამოსვლისას შუკვანმა მაშინვე ყვირილი დაიწყო – „ძირს ხუნტა, თავისუფლება პოლიტპატიმრებს, ძირს პოლიტიკური ტერორი“. მას მხარი აუბეს ახლახანს საპატიმროდან პრეზიდენტის შეწყალების შედეგად გათავისუფლებულმა „ზვიად განმათავისუფლებლის“ პარტიის წევრებმა, ლეილა ცომაიამ და თამილა ნიკოლაძემ. (გეა)

საქართველო ორკვირიან საშობაო ეიფორიაში

„თუკი საქართველოს მთავრობა და ოფიციალური ეკლესია სასწრაფოდ არ იზრუნებს, რათა ახალი წელი ჩვენმა ქვეყანამაც მხოლოდ დანარჩენ ქრისტიანულ სამყაროსთან ერთად იზეიმოს, „ახალი“ ახალი წლის შემდეგ დამდგარი შობა და შემდეგ ისევ „ძველი ახალი წელი“ იმდენს იზამს, სულ ცოტა, იანვრის პირველ ორ კვირას მაინც, არაოფიციალურ არდადეგებად გადაგვიქცევს და კიდევ უფრო დაგვაშორებს ჭეშმარიტებას, რომ დრო ყველაზე ძვირფასი რამაა, რაც, როგორც გამოცდილებამ გვიჩვენა, თურმე სულაც არა გვაქვს ქართველებს სხვებზე მეტი, მაგრამ მაინც უმოწყალოდ ვფლანგავთ“ – იუწყება სააგენტო „ელიზი–ნიუსი“, რომელიც ამ პროგნოზს საკუთარი გამოცდილებიდან გამომდინარე აკეთებს და წუხს, რომ საქართველოში არსებული ორგანიზაციებისა და უწყებების ერთი ნაწილი კვლავაც საახალწლო ეიფორიაშია და უჭირს რეალობას დაუბრუნდეს ანუ, გაიხსენოს, რომ „მატარებელი გავიდა“ და მისი დაწევა ნაბახუსევზე მით უფრო გაჭირდება. (ელიზი–ნიუსი)

ქართველი ტყვეები „უსაფრთხოების ზონაში“

ბოლო დღეებში აფხაზთა მიერ კონფლიქტის „უსაფრთხოების ზონაში“ აყვანილი 40-მდე მშვიდობიანი ქართველიდან 8 იანვარს ქართული მხარის, რუსეთის სამშვიდობო ძალებისა და გაეროს სამხედრო დამკვირვებელთა აქტიური ჩარევით აფხაზებმა უმრავლესობა გაათავისუფლეს. ამჯერად ტყვედ მხოლოდ 9 კაცი იმყოფება.

ქართული მხარე იმედოვნებს, რომ მათაც უახლოეს დროში გაათავისუფლებენ, თუმცა აფხაზები ძნელად თმობენ პოზიციებს და აცხადებენ, რომ მანამ არ შეწყვეტენ ტერაქტებსა და ტყვეთა აყვანას, სანამ ქართველები არ დაუბრუნებენ დაკარგულ „დიკის“. (გეა)

გააფხაზებული ბაბენკოვი ნასვლას არ აპირებს

აფხაზეთის კონფლიქტის ზონაში ქართული სამშვიდობო ძალების სარდალმა, პოლკოვნიკმა თენგიზ ოშხერელმა განაცხადა, რომ მიუხედავად რუსეთის პრეზიდენტის მიერ 31 დეკემბერს მიღებული გადაწყვეტილებისა რუსეთის სამშვიდობო ძალების სარდლის დოლია ბაბენკოვის დაკავებული თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ, რუსი გენერალი კვლავ ადგილზეა და ისე იქცევა, თითქოს არც აპირებდეს წასვლას. ამასთან, ოშხერელის თქმით, აშკარად პროაფხაზურად განწყობილი ჩინოვნიკი აბსოლუტურ იგნორირებას უკეთებს ქართული მხარის მოთხოვნებს და არაფერს აკეთებს კონფლიქტის ზონაში შექმნილი დაძაბულობის განმუხტვისათვის.

გენერალ ბაბენკოვის საკითხი გუშინ ქართველმა ჟურნალისტებმა თბილისში მყოფ რუსეთის თავდაცვის სამინისტროს დელეგაციის ხელმძღვანელს, გენერალ-პოლკოვნიკ ლეონიდ ივაშოვს შეახსენეს, რომელმაც განაცხადა, რომ იგი არ აპირებს განსაჯოს, თუ როგორი სარდალი იყო ბაბენკოვი, რადგან უმაღლესმა მთავარსარდალმა გადაწყვეტილება უკვე მიიღო. მისი თქმით, ბაბენკოვის შემცვლელი სერგეი კორობკო უახლოეს დღეებში თბილისში ქართული სამხედრო ხელმძღვანელობის წინაშე წარსდგება და შემდგომ თავისი წინამორბედისაგან კონფლიქტის ზონაში უფლებამოსილებას გადმოიბარებს. (გეა)

თემურ ჟორჟოლიანი:

ამათ, ყოფილ კომუნისტებს, დიდხანს არ გაუვათ...

ინტერვიუ კონსერვატიულ-მონარქისტული პარტიის თავმჯდომარესთან თემურ ჟორჟოლიანთან

– თქვენი ციხიდან განთავისუფლების შემდეგ რა მდგომარეობაში დაგხვდათ კონსერვატიულ-მონარქისტული პარტია?

– ჯერ კიდევ ჩვენი პარლამენტში ყოფნის დროს მიმდინარეობდა პარტიის წევრების დევნა და შევიწროება. შემდეგ მე დამიჭირეს. ჩვენი ოფისი დაარბიეს. გაუქმდა ათწლიანი ხელშეკრულება ტექნიკურ ბიბლიოთეკასთან. უკანონოდ მოიქცნენ, რადგან საიჯარო ხელშეკრულებები მეპატრონის გამოცვლის დროს არ უქმდება. რეგიონალური ოფისები თითქმის ყველგან გაუქმდა. პარტია დღეს ფაქტიურად არალეგალურ მდგომარეობაშია. თქვენ გახსოვთ, 1989-1990 წლებში ჩვენ „ლურჯი მონასტრის“ ტერიტორიაზე ვიკრიბებოდით. დღესაც დაახლოებით ასე ვართ, დისიდენტურ პირობებში. აქტიურ პოლიტიკას ვაწარმოებთ-თქო, ტყუილი იქნება.

– თქვენი გამოსვლის შემდეგ რამე შეიცვალა?

– ჩატარდა პარტიის დარბაზი. განვიხილეთ ჩვენი მდგომარეობა. მოხდა ზოგიერთი პარტიის წევრის გარიცხვა. გავსუფთავდით. ადრეც, გამსახურდიას დროს რომ დამიჭირეს და პარტია დევნის ქვეშ იყო, მედროვეებმა და საშოვარზე მოსულმა ხალხმა მაშინვე დატოვა პარტია. შემდეგ კი ზოგი დაბრუნდა და პარლამენტის წევრიც კი გახდა.

– რატომ აპატიეთ?

– ჩვენ მონარქისტები ვართ და აქედან გამომდინარე – მიმტევებლებიც, არა ვართ ღვარძლიანი ხალხი. კაცი მოდის და გეუბნება – მეშინიაო. მერე კი ერთი თვე იყო ატუზული ჩემი ოთახის წინ... ერთი მხრივ კარგიცაა, ასეთ მწვავე დაპირისპირებაში რომ ხარ ხელისუფლებასთან, „წყალნი წავლენ და წამოვლენო...“; ერთგული, ნაცადი და ნაღდი ხალხი გრჩება.

– რატომ მოხდა დაპირისპირება გამსახურდიასთანაც და შევარდნაძესთანაც?

– მონარქისტები ვართ. ესაა თავი და თაები. ჯერ კიდევ „მრგვალი მაგიდის“ შექმნის დროს იყო შეთანხმება, რომ საქართველოში საპარლამენტო მმართველობა იქნებოდა. შემდეგ კი გამსახურდიამ საპრეზიდენტო სტრუქტურა შექმნა. ასევე იყო შევარდნაძის დროსაც. თავიდან ისიც თანახმა იყო საპარლამენტო რესპუბლიკის, მაგრამ შემდეგ აზრი შეიცვალა.

– ციხეში თქვენი ყოფნის დროს და თქვენი განთავისუფლების შემდეგ რა ცვლილებებს ხედავთ ქვეყნის ცხოვრებაში?

– რაც არ უნდა იზოლაციაში მოგაქციონ, თუ პოლიტიკაში ხარ, არ შეიძლება არ იცოდე, რა ხდება შენს ქვეყანაში. რა თქმა უნდა, ნაკლები ინფორმაცია გაქვს,



შეზღუდული ხარ, მაგრამ თუ იცი, რას წარმოადგენს ხელისუფლება, იცნობ პოლიტიკურ სპექტრს, მაშინ გათვლა რა იქნება, ძნელი არაა. მით უმეტეს, იზოლაციაში მეტი ფიქრის და ანალიზის გაკეთების საშუალებაა. რა შეიძლება ითქვას? ხდება ის, რაც ჩვენ ვიწინასწარმეტყველეთ და განვაცხადეთ 4 წლის წინ პარლამენტზე. მაშინ ლაპარაკი იყო აფხაზეთის პრობლემაზე, ეკონომიკაზე, კორუფციაზე და ა.შ. არათუ ხალხი, არამედ ბევრი პოლიტიკოსიც მაშინ თვლიდა, რომ ჩვენ არაობიექტურები ვიყავით და ჩვენი პროგნოზი ტენდენციური იყო. რეალურად, დღეს მოსახლეობის 90% უკვე ხედავს, რასაც ჩვენ მაშინ ვამბობდით. სამწუხაროდ, საქართველოში არავის უყვარს ანალიზის გაკეთება. პოლიტიკოსთა უმრავლესობა დღეს ერთს ამბობს, ხვალ – მეორეს, ზეგ – მესამეს. აღარ იხსენებენ, დღეს რა აქვთ ნათქვამი და გაკეთებული. პოლიტიკური შეხედულებებიც ეცვლებათ და ეს ჩვეულებრივად ითვლება. მე მგონი, ეს აბსოლუტურად მიუღებელია ნებისმიერი განვითარებული, დემოკრატიული ქვეყნისთვის. იქ საზოგადოება არ მოგცემს ამის უფლებას. თუ გაქვს რაიმე მრწამსი, ამით უნდა იცხოვრო და იღვწო. დღეს პოლიტიკური კულტურის დონე საქართველოში ისევ ისეთი დაბალია, როგორიც იყო. 80-იან წლებში ჩვენ გვქონდა ილუზია, რომ მაღალი ინტელექტუალური და პოლიტიკური დონე აქვს ჩვენს ხალხს, მაგრამ, სამწუხაროდ, ასე არ აღმოჩნდა.

– თქვენ ფიქრობთ, რომ შევარდნაძემ თქვენი საპარლამენტო დებატების შემდეგ გადაწყვიტა თავიდან მოეშორებინეთ?

– ჩემი იზოლაცია, პირველ რიგში, ჩემს პოლიტიკურ ოპონენტებს სჭირდებოდათ. არ შეიძლება ერთ დებატებს და გამოსვლას დაბრალო. ჩვენ არასაჭირო დროს გადმოვალაგეთ კარტები ძლიერთა ამა ქვეყნის წინააღმდეგ. ეს მაშინ, როდესაც ჩვენი კულტურა და მენტალიტეტი წმინდა საბჭოურია. ე.ი. თუ ვინმე გიშლის ხელს, უნდა მოიცილო. პოლიტიკური ბრძოლის სხვა მეთოდი და ტექნოლოგია არ არსებობს. კონკრეტულად ეს იყო მთელი გუნდის ინტერესი, რომ ჟორჟოლიანი ხელს გვიშლისო. დავუპირისპირდით შოთა კვირაის საკმაოდ მძიმე მამხილებელი საბუთებით. მისი შსს მინისტრად დანიშვნის წინააღმდეგი იმიტომ ვიყავით, რომ ასეთი კაცის დამტკიცება საშიში იყო ქვეყნისთვის, შეიძლება რაღაც ცუდი მომხდარიყო. ახლა, 3 წლის შემდეგ, აღმოჩნდა, რომ მართლები ვიყავით, მაგრამ ეს აღარავის ახსოვს. მაშინ კი იგივე პიროვნებები, რომლებიც ახლა მას ებრძვიან, თუნდაც ქალბატონი სარიშვილი, აქტიურად იცავდა კვირაიას და ჩვენ დაგვიპირისპირდა, რადგან მაშინ კვირაიას დაცვა მიაჩნდა საჭიროდ. ასეთი იყო შეკვეთა. თურმე უნდა დავაქციოთ, დავანგრიოთ, გავაფუჭოთ ქვეყანა, რომ მიეხვდეთ ვინ ვინაა.

ასევე, ფაქტიურად, ჩვენ აღმოვჩნდით ის ძალა, რომელსაც უნარი შესწევდა რეალურად გაეერთიანებინა ოპოზიცია. გახსოვთ, იმ წლებში ჩვენს ოფისში იკრიბებოდნენ სხვადასხვა ოპოზიციური მიმართულების პოლიტიკური ძალები. თავისთავად იბმებოდა კონტაქტები. რეალურად გამოჩნდა, რომ ვიწრო პოლიტიკური ინტერესები გვერდზე უნდა გადაგვედო და ეროვნულ-პატრიოტული ძალები ერთ მუშტად უნდა შეეკრულიყავით მომავალ არჩევნებზე გამარჯვების მისაღწევად. თავისთავად ცხადია, მათი შემაერთებელი რგოლი უნდა გაეწყვიტათ. ასეც განახორციელეს. ვინ და რამდენად ბინძურად განახორციელა ჩემი იზოლაცია, საყოველთაოდ ცნობილია.

– ახლა სასამართლო რეფორმა მიმდინარეობს, რომელსაც მაღალი შეფასება ეძლევა. ხომ შეიძლება მომავალში ნორმალურად ვიცხოვროთ და თქვენი დაკავების მსგავსი ფაქტები აღარ მოხდეს?

– სასამართლო რეფორმაზე 4 წლის წინ ვლაპარაკობდით.

გაგრძელება მერე გვერდზე

რუსეთს თუ ვალი მოსთხოვე, გაგიბრაზდება

„თუკი თქვენ აიძულებთ რუსეთს ვალების გადახდას და ამასთან თვლას დაიწყებთ, ვის ვისი რამდენი აქვს ვალი, ამით ერთმანეთთან ურთიერთობას გაეფუჭებთ და ურთიერთშორის თანამშრომლობას ბარიერებს შეუქმნით“ – განაცხადა რუსეთის თავდაცვის სამინისტროს გენერალური შტაბის საერთაშორისო ურთიერთობების სამმართველოს უფროსმა, გენერალ-პოლკოვნიკმა ლეონიდ ივაშოვმა რუსეთის მიერ უკანონოდ გატანილი სამხედრო ტექნიკისა და შეიარაღების კომპენსაციის შესახებ საუბრისას. მისივე თქმით, აღნიშნული თემა ამჟამად თბილისში მყოფი დელეგაციის განსჯის საგანი არ შეიძლებოდა ყოფილიყო, რადგან საკითხის გადაწყვეტას უფრო მაღალი დონეები ესაჭიროება. (გეა)

ოსები მინას და „ბარიგებს“ გვთხოვენ

„არდადეგების გამო რამდენიმე ხნით შეწყვეტილი გაერთიანებული სამშვიდობო ძალების ოთხმხრივი სამუშაო შეხვედრები გუშინ კვლავ აღდგა“ – აცნობა გეა-ს კორესპონდენტს ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში ქართული სამშვიდობო ძალების სარდალმა, რეზო გურგენიძემ. მისი თქმით, შეხვედრაზე კვლავ წამოიჭრა გორი-ცხინვალის რაიონების მოსახღვრე სოფლების მიწის სადაო საკითხები. თუმცა გორის რაიონის ადმინისტრაციის არგამოცხადების გამო ამ საკითხის განხილვა მეორე შეხვედრისათვის გადაიდო.

შეხვედრაზე ოსურმა მხარემ მოითხოვა, რომ ჯავაში გამართული ჩიბიროვ-შევარდნაძის შეხვედრაზე ხელმოწერილი ოქმის თანახმად, თბილისმა ცხინვალს დაუბრუნოს „თანამემამულე“ პატივრები, სასხელის „სამშობლოში“ მოსახვედრა.

საქართველოს შსს-ს ასეთი 4 ჰყავს და მათი უმეტესობა ნარკობიზნესშია ეჭვმიტანილი. (გეა)

ცხინვალს შუქი მხოლოდ ჩიბიროვის მოსკოვში ყოფნისას აქვს

ცხინვალიდან იტყობინებიან, რომ რეგიონს ვლადიკავკაზიდან ელექტროენერგიის მიწოდება კვლავ შეუწყვეტს. ცხინვალელი ენერგეტიკოსები ცდილობენ ქართველ კოლეგებს დაუკავშირდნენ, რათა თავი დაიზღვიონ და ვლადიკავკაზიდან „შუქის არ აღდგენის“ შემთხვევაში, გორიდან გრაფიკით მიიღონ ელექტროენერგია.

ინფორმაციის წყაროს ცნობით, „ჩრდილოელ ძმებთან“ ელექტროენერგიის მიწოდებაზე მოლაპარაკებული ვადა 10 იანვარს იწურებოდა. მაგრამ ეტყობა „ლიმიტი“ უფრო ადრე ამოწურეს ცხინვალელებმა. მათ ლიდერს, ლუდვიგ ჩიბიროვს კი რადგან მოსკოვიდან მის ყოველ უკან დაბრუნებას შუქის გამორთვა მოჰყვა, ალბათ მოუწევს ცხინვალის ელექტროენერგიით უზრუნველყოფისათვის საკუთარი კარიერის შეწირვა და მოსკოვის მთავრობაში გაუნძრეველად ჯდომა. (გეა)

რას წერენ საქართველოს მტრები საქართველოზე?

ქვემოთ წარმოდგენილი სტატიის ავტორი ვინმე ქვარჩელია, ერთგნეგრით აფხაზი, მიწვეული იყო ამერიკაში 1996 წლის დამლევამდე. ამერიკაში მოინახულა მრავალი უნივერსიტეტი.

ეს სტატია წარადგინა ქენედის სამთავრობო საქოლაში, ჰარვარდის უნივერსიტეტში 1996 წლის 7 ნოემბერს.

ტექსტი დაბეჭდილია ინგლისურად და ვრცელდება ამერიკის დაინტერესებულ წრეებში.

გთავაზობთ სტატიის ქართულ თარგმანს, რომელიც შეუძლებელია ალფფოთეგის გარეშე წაკითხოს ადამ.

მაგრამ ჩვენ უნდა ვიცოდეთ, რას წერენ და როგორ გვეგრძვიან ინფორმაციულად ისინი, რომელთაც დღემდე ძოგას გეფიცეგით.

საჭიროა მეცნიერული, არგუმენტირებული პასუხის მომზადება არა ჩვენთვის, არამედ უცხოელთათვის, ამ პასუხის ინგლისურ ენაზე თარგმნა და გამოცემა.

აფხაზეთის უზენაეს საბჭოს თავმჯდომარეს ვთხოვთ გამოგვეხმაურეს ან დამოუკიდებლად ახლა მაინც შეჭმნან ჯგუფი, რომელიც მუდმივად მსგავს საკითხებზე იმუშავებს.

„საქართველოს“ რედაქცია

ვეხედულება აფხაზეთიდან

ლიანა ქვარჩელია

7 ნოემბერი, 1996 წ.

შეერთებულ შტატებში სტუმარ-მეცნიერად ყოფნის რამდენიმე ხნის შემდეგ, კიდევ უფრო დაეარწმუნდი, რომ საქართველოსა და აფხაზეთს შორის კონფლიქტის ირგვლივ ბევრ მცდარ აღქმასა და შეხედულებას, რაც შეიძლება არსებობდეს დასავლეთში, მნიშვნელოვნად განსაზღვრავს ცალმხრივი ცნობები აქაურ ვითარებაზე. ორივე მხარის პოზიციათა შეუფასებლად ძალიან ძნელია ქართულ-აფხაზური კონფლიქტის გაგება და მისი გადაჭრის გზების დასახვა.

როგორც მკითხველმა იცის, 1992 წლის 14 აგვისტოს, აფხაზეთის მთავრობა და მცხოვრებლები, ათასობით დამსვენებელთან ერთად, განცეიფრებულნი დარჩნენ, როცა ქართული ჯარი შეეიდა აფხაზეთის ტერიტორიაზე და განახორციელა სახმელეთო და საჰაერო შეტევა აფხაზეთის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილსა და მის დედაქალაქზე. ბრძოლა 14 თვე გრძელდებოდა.

ამ სექტემბერს აღინიშნა იმ ომის დამთავრების სამი წლისთავი, რომელშიც აფხაზეთი საბოლოოდ დაეუფლა თავის ტერიტორიას. მაშინ, როცა აფხაზეთი სექტემბერში სისხლისმღვრელი ომის დასრულებასა და სამხედრო გამარჯვებას ზეიმობდა, საქართველო ხსოვნისა და იმედის დღეს აღნიშნავდა. კერძოდ, აფხაზეთის საქართველოსთვის უკან დაბრუნების იმედს, თუნდაც საქართველოს დამოუკიდებლობის დაკარგვის ფასად. მთავარია, თუ რა არის ქართულ-აფხაზური და ქართულ-ოსური კონფლიქტების არსი. ეს მნიშვნელოვანი საკითხია, იგი პასუხს მოითხოვს, ბოლოს და ბოლოს საამისოდ სერიოზული მცდელობა მაინც უნდა განხორციელდეს. ქართულ-აფხაზური ნათესობის წანამძღვრებში ჩაუღრმავებლად შეუძლებელია ამ კონფლიქტის ფესვების დადგენა. გულუბრყვილობა და არასწორი იქნება ვთქვათ, რომ აფხაზთსა და საქართველოს შორის კონფლიქტი ოგვეა, რაც კონფლიქტი ცენტრს, სეპარატისტთა ამბიციურ ჯგუფსა და საქართველოს ერთ-ერთი პროვინციის პოლიტიკურ ხელმძღვანელობას შორის, ან რომ ეს არის მხოლოდ მესამე ძალის ხრიკები – ასეთია ყველაზე უფრო გავრცელებული ვერსიები, რაც ქართული მხრიდან მოდის.

ქართულ-აფხაზური კონფლიქტი აშკარად ეთნო-პოლიტიკურია და საპირისპირო ვერსიის აზრი ასეთია: ქართული მხარე მოითხოვს ძალაუფლებას ტერიტორიაზე, რომელიც საქართველოს მიწა-წყალს შეუერთდა სტალინის 1931 წლის დეკრეტით. აფხაზები, რომლებიც აშკარად განსხვავებული ეთნოსისა არიან, ვიდრე ქართველები და აქვთ თავიანთი სახელმწიფოებრიობის ხანგრძლივი ისტორია აშკარა გეოგრაფიულ საზღვრებში, მოითხოვენ აფხაზეთის ტერიტორიასა და სახელმწიფოებრიობას თავიანთი მრავალეროვანი მოქალაქეებისათვის. ამასწინდელი სამხედრო კონფლიქტის აფეთქება მომზადებული იყო წლების მანძილზე პოლიტიკური უთანხმოებებით, რაც ეთნიკური ხაზით ვითარდებოდა, რადგან აფხაზების, როგორც ეთნიკური ჯგუფის, თვითმყოფადობა შეიქმნა ქართველთა მანიპულაციის საგანი პოლიტიკური მიზნების მისაღწევად, ვითარება ძალზე გამწვავდა აფხაზეთის მოსახლეობის არაქართული ჯგუფების დაბნეულობის გამო, რომელიც დაირბა აფხაზეთის მხარეზე, კერძოდ, მას შემდეგ, რაც დაიწყო 1992 წელს.

ახალი ვითარებანი

ისტორიულ დეტალებში ჩაუღრმავებლადაც შეიმჩნევა ზოგიერთი მნიშვნელოვანი უთანხმოება, რაც უნდა აღინიშნოს. შავი ზღვის სანაპიროზე დაფუძნებული, ნაყოფიერი და თვალწარმტაცი აფხაზეთი – მნიშვნელოვანი ტრანს-კავკასიური გზაჯვარედინი – ისტორიულად ყოველთვის მაცდუნებელი ლუკმა იყო დამპყრობთათვის. აფხაზეთის სახელმწიფოებრიობა 1200 წელზე მეტი ხნის წინათ ჩამოყალიბდა და აფხაზებს მრავალჯერ მოუწიათ თავდაცვა დამპყრობთაგან.

საუკუნეების მანძილზე ქართველები და აფხაზები, ერთმანეთისგან განსხვავებული ეთნიკური წარმოშობისა და ენის მქონე ხალხები, ცხოვრობდნენ მეზობელ ტერიტორიებზე. იყო პერიოდები მათ ისტორიაში, როცა აფხაზეთი, როგორც ცალკე სამთავრო, მოქცეული იყო საქართველოს ან ოტომანების მბრძანებლობის ქვეშ. ასევე ყოფილა ხანა, როცა საქართველოს დასავლეთი და ზოგი აღმოსავლეთის მხარეც აფხაზეთის სამეფოს ნაწილი იყო.

მაგრამ მეცხრამეტე საუკუნეში კავკასიის რუსეთის მიერ დაპყრობამ ორივე ქვეყანა რუსეთის იმპერიის მმართველობის ქვეშ მოაქცია. ათასობით აფხაზმა, მრავალ ჩრდილოკავკასიელთან ერთად, რომელთაც იმ აფხაზების მსგავსად, ქართველებზე მეტხანს რომ ებრძოდნენ რუსეთის მბრძანებლობას, თავის შეაფარეს თურქეთს. დღეს მათი შთამომავლობა (მოჰყვირები) მთელ მსოფლიოშია გაფანტული. მარტო თურქეთში ეთნიკური აფხაზების რიცხვი 400000 კაცს აჭარბებს. მათი მიწები და სახლები მოქიშპე ქართველებმა, სომხებმა და რუსებმა დაიკავეს. 1887 წელს ცნობილმა ქართველმა სახოგადო მოღვაწემ იაკობ გოგებაშვილმა დაწერა ერთ-ერთ სტატიაში, რომ აფხაზეთი არასოდეს დაუბრუნდება მის შვილებს და უკვე დროა ვიფიქროთ, თუ ვინ შეეგუება ყველაზე უკეთ აფხაზეთის კლიმატურ პირობებსო. გოგებაშვილის აზრით, მეგრელები, დასავლეთ ქართული ტომი, იყვნენ ყველაზე შესაფერისი და პირველი კანდიდატები აფხაზეთის კოლონიზაციისა.

მეცხრამეტე საუკუნის დასასრულიდან დაიწყო აფხაზეთში ჩასახლების პოლიტიკა, რომელიც გაგრძელდა საბჭოთა ხელისუფლების დროსაც. სამთავრობო აღწერის თანახმად, აფხაზეთის ქართული მოსახლეობა 1886 წელს შეადგენდა 6,0%-ს, 1897 წელს გაიზარდა 24,4%-მდე. 1926 წლის მიხედვით კი ქართველებმა აფხაზეთში 31,8%-ს მიაღწიეს.

რუსეთის 1917 წლის რევოლუციის შემდეგ აფხაზეთი შეუერთდა მთის ხალხთა რესპუბლიკას, რითაც გახდა ჩრდილოკავკასიურ რესპუბლიკათა კავშირის ნაწილი. მაღე ის დროებით დაიპყრო საქართველოს დემოკრატიულმა რესპუბლიკამ. როცა 1921 წელს საქართველოს ხელისუფლებაში მოვიდნენ ბოლშევიკები, გამოცხადდა აფხაზეთის დამოუკიდებელი რესპუბლიკა.

აფხაზეთი სსრკ-ს შეუერთდა, როგორც სრული მოკავშირე სოციალისტური რესპუბლიკა და სრულ მოკავშირე რესპუბლიკად დარჩა 1931 წლამდე. ჰქონდა საგანგებო მოლაპარაკებაზე დაფუძნებული ურთიერთობა საქართველოსთან. სტალინის 1931 წლის ბრძანებულებით და აფხაზეთის ძლიერი პროტესტის მიუხედავად, აფხაზეთი ჩამოაქვეითეს ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსამდე და შეიყვანეს საქართველოს მოკავშირე რესპუბლიკის შემადგენლობაში. მხოლოდ ეს ფაქტია ის, რაც სამოცი წლის შემდეგ ქართველებმა გამოიყენეს აფხაზეთის საქართველოს განუყოფელ ნაწილად გამოცხადებისათვის.

აფხაზეთის სტატუსის სტალინისეული ცვლილება და მისი მომდევნო ხანა დაილექა აფხაზების ისტორიულ მეხსიერებაში, როგორც „გაქართველებისა“ და დევნის პოლიტიკა. იმ დროს აფხაზური სკოლები დაიხურა და შეიცვალა ქართული სკოლებით. აფხაზებს ნება არ ჰქონდათ ესწავლათ მშობლიურ ენაზე. შესაბამისად, აფხაზურის ნაცვლად წარმოდგენილი იყო ქართული გეოგრაფიული სახელები. ასევე სტალინის ერა იყო ის პერიოდი, როცა ქართველმა ისტორიკოსებმა შეიმუშავეს ახალი „თეორია“, რომელიც შთააგონებდა, რომ „აფხაზები“ „ახალმოსულები“ არიან ქართულ მიწაზე. მთლიანობაში, აფხაზური გაგებით, ეს ხანა ხასიათდება, როგორც აფხაზი ხალხის არსობის გაქრობის ერთ-ერთი ყველაზე სერიოზული ცდა.

ახალი ვითარებანი

1937-1953 წლებში აღინიშნა აფხაზეთის დემოგრაფიული სიტუაციის მკვეთრი ცვლილება. სტალინის თანამრახველმა, ლავრენტი ბერიამ სპეციალური სამსახური დააარსა, რათა აფხაზეთში ქართველთა ახალი დიდი რაოდენობა ჩამოესახლებინა. როგორც საერთო შედეგი, 1959 წლის მიხედვით, ქართველების რიცხვი აფხაზეთში უკვე საერთო მოსახლეობის 39,1%-მდე გაიზარდა. შემდეგ წლებში, ინდუსტრიული და საგანმანათლებლო ინსტიტუტებისათვის სამუშაო ძალებისა და ინტელექტუალებზე მოთხოვნილების საბაბით კიდევ უფრო მეტი ქართველი გადაიყვანეს აფხაზეთში, რითაც 1989 წლის მიხედვით, საერთო მოსახლეობის 45% შეადგინეს.

იმ ათწლეულებში, რომელიც მოჰყვა სტალინის სიკვდილს, აფხაზური სკოლები ისევ გახსნეს და აფხაზური ენა ისევ გამოიყენებოდა საგამომცემლოდ და რადიომაუწყებლობაში, მაგრამ „გაქართველების“ პოლიტიკა უფრო ფარული გზით მაინც გრძელდებოდა. აფხაზებმა ამას რამდენჯერმე უპასუხეს მასიური პროტესტებით, რომლებიც მთელი ათწლეულის განმავლობაში მეორდებოდა.

ქართველი პოლიტიკანები ხშირად ირწმუნებიან, რომ აფხაზეთს უფრო პრივილეგირებული მდგომარეობა ჰქონდა საქართველოს შემადგენლობაში, ვიდრე რომელიმე ავტონომიურ რესპუბლიკას ჰქონია რუსეთის ფედერაციაში. ამ იდეის გასამყარებლად ისინი აცხადებენ, რომ აფხაზებს, რომელთა რიცხვი 1978 წლის თანახმად მოსახლეობის 17%-მდე შემცირდა, ჰქონდათ არაპროპორციულად დიდი წილი სახელმწიფო პოსტებზე. ამასთან, ისინი თავს არიდებენ იმ ფაქტს, რომ ყველა მაღალი თანამდებობის პირი თბილისიდან ინიშნებოდა და ისიც მხოლოდ საქართველოს დედაქალაქში სულ ცოტა სამი წლის „კარგი სამსახურის“ შემდეგ. თბილისის ხელისუფლება ასევე გვარწმუნებს, რომ ყველა მნიშვნელოვანი პოსტი, მაგალითად, კომუნისტური პარტიის პირველი მდივნისა, ეძლეოდა „ლოიალურ“ აფხაზებს. ისეთი ჭეშმარიტი პოზიციები, როგორიცაა ფინანსთა მინისტრი, შინაგან საქმეთა მინისტრი და სუკის შეფი, ტრადიციულად ქართველებიდან ინიშნებოდნენ, უფრო ხშირად ისინი თბილისიდან ჩამოჰყავდათ.

„პერესტროიკის“ და „გლასნოსტის“ ხანაში ქართულმა ნაციონალიზმმა ექსტრემალური ფორმა მიიღო. აზრი, რომ ქართველები არიან „მასპინძლები“ და სხვა ყველა ეთნიკური ჯგუფი „სტუმრები“ – ხშირად „არაკეთილსინდისიერად“ ითვლება (რადგან ამ შეხედულების თანახმად ისინი იპოვებდნენ უფლებებს) და პროპაგანდა ეწევა ქართულ პრესასა და აკადემიურ გამოცემებში. მაგალითად, ერთი ცენტრალური ქართული გაზეთი ისე შორს წავიდა, რომ გამოაქვეყნა სტატია, რომელიც მოითხოვდა, რომ არაქართული ეთნოსის ოჯახებს აკრძალეოდათ ორ ბავშვზე მეტის ყოლა, რადგან ქართველთა შობადობა იმხანად შედარებით დაბალი იყო. ლოზუნგს „აფხაზეთი საქართველოში“ პოპულარობით მხოლოდ ლოზუნგი „საქართველო საქართველოსთვის“ თუ უსწრებდა. საბჭოთა კავშირიდან საქართველოს დამოუკიდებლობისათვის მებრძოლნი, სახალხო შეკრებებზე იმავე დროს მოითხოვდნენ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ავტონომიის სტატუსის გაუქმებასაც.

ზვიად გამსახურდია სულ მალე, რაც საქართველოს პრეზიდენტი გახდა სსრკ-დან გამოყოფის შემდეგ, ისე შორს წავიდა, რომ მიმართავდა დასავლელ ქართველებს – აფხაზებს მოელითი ასიმილაცია ან საკუთარი მიწიდან გაძევებაო. გამსახურდიას ამ იდეებმა ქართულ საზოგადოებაში მცირე კრიტიკა ჰპოვა. საპირისპიროდ, აფხაზის ან ოსის „მტრის“ იმიჯი შეიქმნა მძლავრი გამაერთიანებელი ფაქტორი ქართული საზოგადოებისათვის, რომელიც პოლიტიკური ბრძოლებით იყო დაქსაქსული. შეტაკებებმა 1989 წელს, რაც აფხაზეთის უნივერსიტეტიდან ქართული სექციის გამოყოფას მოჰყვა, ქართველთა და აფხაზთა ანტაგონიზმს ახალი მიმართულება მისცა.

ამ დაძაბულმა ქართულმა ნაციონალიზმმა გამოიწვია აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ნაციონალური მოძრაობების ექო, რაც ქართული აგრესიულობის ზრდის კვალობაზე ექსტრემალურად საშიში ხდებოდა. აფხაზმა ხალხმა რამდენჯერმე მოითხოვა სრული რესპუბლიკის სტატუსის აღდგენა, ან რუსეთის ფედერაციასთან შეერთება. ომი ოსეთში, ისევე როგორც დაძაბულობა ფედერაციასთან, პრეზიდენტმა გამსახურდიამ დაიწყო. ომმა ოსეთში, რომელიც დაიწყო პრეზიდენტმა გამსახურდიამ, ისევე, როგორც დაძაბულობამ საქართველოს სომხურ და აზერბაიჯანულ რაიონებში, თურქი მესხების წარუმატებელმა მოთხოვნამ (ისინი 1944 წელს გაასახლეს საქართველოდან), დაებრუნებინათ მათთვის თავიანთი საცხოვრებელი ადგილები და ათასობით ლეკის იძულებითმა მოგრაციამ საქართველოდან, ძალზე გაართულა მდგომარეობა რეგიონში. რათა აეცილებინათ ახალი კონფრონტაცია აფხაზეთთან, აფხაზებს მისცეს 28 საპარლამენტო ადგილი ქართველების 26 ადგილის წინააღმდეგ. ეს ახალი აფხაზური პარლამენტი, არსებითად, გაყოფილი იყო ქართულ და არაქართულ საკრებულოებად. ქართული საპარლამენტო უმცირესობა საბოტაჟს უწევდა აფხაზეთის პარლამენტის მიერ შემუშავებულ რეზოლუციებსა და აქტებს, მაშინ, როცა პარლამენტის მთავარმა ძალამ მიიღო რეზოლუცია, რომელიც უზრუნველყოფდა აფხაზეთის სუვერენიტეტს.

ახალი ვითარებანი

თბილისის პარლამენტის მიერ ყველა ლეგალური ინსტრუმენტის ცალმხრივმა გაუქმებამ, 1922 წლის ხელშეკრულების ჩათვლით, და მათ მიერ აღდგენილმა 1921 წლის ქართულმა კონსტიტუციამ, რომლის მოქმედების დროსაც აფხაზეთი ანექსირებული იყო საქართველოს მიერ, აფხაზეთი ისეთ მდგომარეობაში ჩააყენა, რომ სასწრაფოდ უნდა აღედგინა 1925 წლის საკუთარი კონსტიტუცია, როცა აფხაზეთს, როგორც სსრკ-ს ცალკე მოკავშირე რესპუბლიკას, მოლაპარაკებაზე დამყარებული ურთიერთობა ჰქონდა საქართველოსთან. აფხაზეთის პარლამენტის ქართული ფრაქცია, რომელსაც იმ დროისთვის ასევე ჰქონდა თავისი შინაგანი განხეთქილება თბილისის გამო, სამხედრო გადატრიალებით რომ გააძევა გამსახურდია, ერთსულოვნად დაუპირისპირდა აფხაზეთის 1925 წლის კონსტიტუციის აღდგენას. ადამიანთა უფლებების განხილვისას, აფხაზების ჩათვლით, თვითგამორკვევა კი ადამიანის მთავარი უფლებაა, ქართულმა მხარემ სახალხოდ განაცხადა, ქართველთა უფლებებს უპირატესობა აქვს ადამიანის უფლებათა უნივერსალურ დეკლარაციაზეო.

საბჭოთა კავშირის დაშლამ ძლიერი დაძაბულობანი გამოიწვია ახლადჩამოყალიბებულ საბჭმწიფოებში. საერთაშორისო გაერთიანების მიერ პრივილეგირებული თხუთმეტი რესპუბლიკის საერთო საფუძველზე ნაჩქარევმა ცნობამ ყურადღების მიღმა დატოვა ის, რომ ბევრი ამ სახელმწიფოთაგანი შედგებოდა განსხვავებული ნაწილებისგან, ე.ი. ავტონომიური რესპუბლიკების, რეგიონების და ა.შ. მათი სტატუსი, ისევე, როგორც ყოფილი მოკავშირე რესპუბლიკებისა, თვითნებურად იყო დადგენილი ან შეცვლილი სტალინის მიერ. მაშინ, როცა საქართველო გახდა გაერის წევრი, ქვეყნის ძალაუფლება იყო იმ საბჭოს ხელში, რომელმაც ამას სისხლიანი სამხედრო გადატრიალებით გამსახურდიას გაძევებით მიაღწია. გაერის მიერ საქართველოს ფორმალურად ცნობიდან მხოლოდ ოცი დღის გასვლის შემდეგ ქართულმა ჯარებმა შეუტიეს აფხაზეთს, საქართველოში ახალი არჩევნები აფხაზეთის ომიხ დროს გაიმართა. არც სამხრეთ ოსეთი და არც აფხაზეთი მასში არ მონაწილეობდა, სადაც საქართველოს ოურისდიქცია ერცელდებოდა და სადაც არაქართველები დაირაზმნენ საბრძოლველად, დაიქსაქსნენ არჩევნებში. სამეგრელოს, გამსახურდიას ციხე-სიმაგრის, ზოგიერთმა რაიონმა საერთოდ არ მიიღო მონაწილეობა არჩევნებში.

ეკონომიკურად სუსტი, მრავალეროვანი უნიტარული ქართული სახელმწიფოს აშენების ამბიციებით შეპყრობილი მოწინააღმდეგე იმისა, რომ მიეღო ფედერალიზმი, თუმც თავს დემოკრატიული პრინციპების ერთგულად აცხადებდა, საქართველო გახდა შესანიშნავი ნიმუში იმისა, რასაც ანდრეი სახაროვმა „მცირე იმპერია“ უწოდა. მიაგებდნენ რა მისაგებს სახაროვს, როგორც ადამიანთა უფლებების დამცველსა და საზოგადო მოღვაწეს, ქართველებმა ვერაფრით ვერ დაუვიწყეს, რომ მან საქართველოს მცირე იმპერიის იარლიყი მიაკრა. ქართველი ხალხის თვითგამორკვევის უფლება, რაც საბოლოოდ საბჭოთა კავშირის კოლაფსის დროს განხორციელდა, ქართველთა უმრავლესობამ მხოლოდ საქართველოს ეროვნულ უპირატესობად აღიქვა, საბჭოთა საქართველოს საზღვრებში შემავალ „წევრებიანად“.

აფხაზები, რომელნიც ისევე იცავდნენ თავიანთ მშვიდობასა და მემკვიდრეობას, როგორც ქართველები, უკიდურესად გაღიზიანებული იყვნენ თბილისში განვითარებული მოვლენებით. რაკიღა გრძნობდნენ სერიოზულ საფრთხეს მათი არსებობისა და აფხაზეთის სახელმწიფოებრიობისათვის, შესთავაზეს ქართველებს განეხილათ შესაძლო ფედერაციული ხელშეკრულება, რათა შეევსოთ „საკანონმდებლო სიცარიელე“, რაც შეიქმნა ორ მხარეს შორის საქართველოს მიერ ყველა საბჭოთა ხელშეკრულებისა და აქტის გაუქმების შემდეგ. თბილისმა უარყო ეს შეთავაზება ძირითადად იმ საფუძველზე, რომ ქართული საზოგადოებრიობა მზად არ იყო ფედერაციის რაიმე იდეის მისაღებად. 1992 წლის 14 აგვისტოს, იმ დღეს, როცა აფხაზეთის პარლამენტი შეიკრიბა, რათა განეხილათ ხელშეკრულების პროექტი, ქართულმა ჯარებმა აფხაზეთს შეუტიეს. აფხაზეთის პარლამენტის შენობა იყო ერთ-ერთი მთავარი სამიზნე.

გაგრძელება შემდეგ ნომერში

ᲛᲬᲔᲠᲚᲝᲑᲐ ᲙᲐᲠᲓᲣ

ᲐᲜᲣ ᲒᲠᲘ�გᲝᲚ ᲠᲝᲑᲐᲥᲘᲫᲘᲡ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲦᲕᲐᲬᲚᲘ

ᲐᲙᲐᲙᲘ ᲑᲐᲥᲠᲐᲫᲔ

ᲬᲘ�გᲜᲘᲡ წერის მაგიერ, დრო ამგვარი საქმეების განხილვაში უნდა დაკარგო. განაჩენი გამოიტანო. ვიღაცას ბრალი დასდო, დანაშაული აჰკიდო. თან იცი: ადამიანები არაფერ შუაშია. ეპოქას, სისტემას, პოლიტიკურ-ეკონომიკურ წეს-წყობილებას მიუძღვის ბრალი. ძველი პირწმინდად მოიშალა. ახალი კი თავგზაარეული დაეძებს გამოსავალს. ამას ვერ იტყვი, ვერ ამხელ. იტყვი და შურისგებას სად გაექცევი. ქვესკნელში რომ ჩაძვრე, იქიდან ამოგიღებენ. ცაში რომ აფრინდე, იქიდან ჩამოგაგდებენ. ვერც თანამდებობას დატოვებ და გადადგები. კომპარტიასთან მუშაობა არ გინდა? – დაგისვამენ ვერაგულ კითხვას და შინ შეელასაც ვერ მოასწრებ, ისე გაემგზავრები კატორლაში. შეიძლება შეღავათიანი ვადით, შეიძლება სამუდამოდ. ერთადერთი შვება უცხოეთში წასვლაა ცოტა ხნით. 1927 წელს გრიგოლ რობაქიძეც მიდის სალიტერატურო საქმეების მოსაგვარებლად. „1925 წელს, უკვე მოწიფულ მწერალს, აღმეძრა სურვილი გამოეჩენილიყავ ევროპულ ლიტერატურულ ასპარეზზე, – წერდა იგი 1950 წელს რომენ როლანის ქვრივს მარი როლანს. მე ვარაუდობდი: ჩემი, როგორც მწერლის, გამოჩენა ევროპაში სამსახურს გაუწევდა ჩემს მშობლიურ ქართულ ლიტერატურას. მისი თხუთმეტსაუკუნოვანი არსებობის მანძილზე, ზოგიერთ ევროპულ ენაზე ნათარგმნი იყო ოდენ სხვადასხვა ავტორის რამდენიმე ლექსი, მე-12 საუკუნის პოეტის რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის“ ნაწყვეტი და კიდევ მე-10 საუკუნის ერთი თხზულება, რომელიც ერთ-ერთი წმინდანის ცხოვრებას აღწერს (ეს უკანასკნელი ლათინურ ენაზე). მხოლოდ ეს. ვარაუდობდი აგრეთვე, რომ ევროპისათვის არ იქნებოდა უინტერესო გასცნობოდნენ ჩემი ხალხის ლიტერატურას, ეს მით უფრო, რომ ჩემი ხალხის ენას თვლიან ერთ-ერთ უძველეს ენად. ჟაკ დე მორგანს, მაგალითად, მიაჩნია, რომ ენები – ეტრუსკული, ხეთური, ბასკური, ქართული – პირველენებია, რომელნიც სრულად და მთლიანად გადმოგვცემენ წინარეისტორიული სამყაროს მითიურ სახეს.

მანამდე, სანამ მიემართავდი ევროპულ გამომცემლებს, გადაეწყვიტე ჩემი შემოქმედების ნიმუშები მიმეწოდებინა ევროპის რომელიმე სახელოვანი მწერლისათვის გასასინჯად, რომ ამით გამეგო, რამდენად ესადაგება ისინი ევროპული მკითხველის აღქმას. ჩემი არჩევანი რომენ როლანზე შეჩერდა“.

რომენ როლანისათვის გრიგოლ რობაქიძეს ორი პიესა – „მალშტრემი“ და „ლონდა“ – გაუგზავნია. ფრანგულად ისინი ელისაბედ ორბელიანს უთარგმნია. როლანისათვის კი პიესები გადაუცია გრიგოლის მეგობარს, ბიოლოგ გიორგი ელიავას, რომელიც იმჟამად პარიზში, პასტერის ინსტიტუტში ცოდნას იღრმავებდა. მალე გრიგოლ რობაქიძეს გიორგი ელიავასაგან რომენ როლანის პასუხი მიუღია. ფრანგი მწერლის ბარათებს გრიგოლ რობაქიძისადმი ჯერჯერობით არ ვიცნობთ. ისინი ბერლინში დაუტოვებია გრიგოლს, როცა 1945 წელს გერმანიიდან შვეიცარიაში გაიხიზნა. მაგრამ მადამ მარი როლანისადმი გაგზავნილ გრიგოლ რობაქიძის წერილში ჩანს, რომ „მალშტრემი“ და „ლონდა“ რომენ როლანს დიდად არ მოსწონებია. აშკარად ჩანდა, მიმოწერით საქმე კეთილად ვერ დაგვირგვინდებოდა. აუცილებელი იყო პირადი შეხვედრები. გრიგოლ რობაქიძეც გაემგზავრა საზღვარგარეთ. წასვლით კი წავიდა, მაგრამ ფინანსურად ძალიან ხელმოკლედ იყო. ამიერკავკასიის ფინანსთა სახალხო კომისარიატის რწმუნებულის გერმანე მგალობლიშვილისათვის 1927 წლის 21 აპრილს მწერალთა ფედერაციის მიერ მირომეული თხოვნა ადასტურებს ამ მდგომარეობას. „გრიგოლ რობაქიძე გერმანიაში იმყოფება თავის ხარჯზე და საცხოვრებლად აქვს მხოლოდ ის მცირეოდენი ჰონორარი, რომელსაც აძლევს გაზეთი „ზარია ვოსტოკა“ ფელეტონებისათვის და ჟურნალ „მნათობი“ მხატვრულ წერილებისათვის“. 26 მაისს მწერალთა ფედერაცია ახალ არძას აგზავნის ამიერკავკასიის ფინანსთა სახალხო კომისარიატში: პიესა „ლამარა“ დასადგმელად მიღებულია რუსთაველის თეატრში. ამ ჰონორარის ხარჯზე მიეცეს გრიგოლ რობაქიძეს 300 მანეთი ვალუტით. იმასაც ემუდარებიან – ელენე ფიალკინას, რომელიც გერმანიაში ქმართან მიდის, საზღვარგარეთის პასპორტის გადასახადს ნუ გამოართმევთო.

ასე მუხლმოდრეკილი იხვეწება ქართული მწერლობა გროშებს, რომ მის წარმომადგენელს შიმშილით სული არ ამოხდეს უცხოეთში.

მარტო უსახსრობა არ ბოჭავს მწერალს. უფრო ძნელი გასაძლებია იდეოლოგიური ურო, რომელსაც გამუდმებით გირტყამენ.

გრიგოლ რობაქიძის მგზავრობას საზღვარგარეთ უკვალოდ არ ჩაუვლია. „ბველის პერანგის“ გერმანული თარგმანი გამოიცა. თარგმანს შტეფან ცვაიგის წინათქმა ახლდა. ავსტრიელი მწერალი მოწონებით წერდა:

„ჩვენი ცნობისმოყვარეობის სულიერ სფეროში სრულიად ახალი და საოცრად მიმზიდველი სამყარო წარმოსდგა, რამეთუ მსოფლიოს რომელიმე ქვეყანა, რომელიმე ერი მხოლოდ მაშინ არსებობს ნამდვილად, როდესაც თავის აღწერას და თავისი თავის შესახებ მოყოლას იწყებს...

ძველი და ახალი სამყარო, მაგიური და რეალური სფეროები, უჩვეულოდ, ჩვენთვის არაბუნებრივად ირევიან ერთმანეთში. და მხოლოდ მათ ასეთ შერწყმას ძალუძს ამ ეპიკური ხელოვნებისათვის დამახასიათებელი, ხშირად არაბუნებრივი პოეტურობის გამართლება. მაგრამ რაოდენ მხურვალე ცეცხლი იფრქვევა ამ აღწერებიდან! ხანდახან გწადია რომელიმე გვერდი ამოჭრა და ლექსად დაწერო, თუმცა ისინი უკვე ლექსებია. ზოგიერთი თავი კი გინდა იმ მეზღაპრემ წაგიკითხოს, უკვე ციელიზებული აღმოსავლეთის ბაზარზე (თუმცა ახლა იშვიათად) მაინც კიდევ რომ გხვდება...

მე ამ წიგნმა მსოფლმხედველობა გამიფართოვა. ბედნიერად გამინათა ჰორიზონტი ეგზოტიკისაკენ და შემაგრძნობინა კიდევ ერთი უცხო სახეობა ეპიკური პოეზიისა...

ეს არის წიგნი, რომელიც ძლევამოსილად ამტკიცებს, რომ ჩვენს მატერიალიზებულ, სულ უფრო და უფრო განსწავლულ და მეცნიერულ სამყაროში მითოსის შემოქმედებითი არსებობა ისევ და ისევ გრძელდება“ (ნათია მიქელაძის თარგმანი. „ლიტერატურული საქართველო“, 1987 წ., №49).

„ბველის პერანგის“ გერმანული თარგმანის გამოსვლამ და შტეფან ცვაიგის წინასიტყვაობამ ერთი ვაიუშველებელი გამოიწვია საქართველოში, პროლეტარულ მწერალთა წრეში. მათ დარაზმულად შეუტიეს გრიგოლ რობაქიძეს.

„ის, რომ სტ.ცვაიგი თარგმნის (ცვაიგს არ უთარგმნია „ბველის პერანგი“ – ა.ბ.) და აქებს რობაქიძეს... ყოველივე ამაში შერჩევის კანონი მოქმედებს. „სული სულს ცნობს“ და არაფერია საკვირველი იმაში, რომ გრ.რობაქიძე ბურჟუაზიული ევროპისათვის წერს. გრ.რობაქიძე ბურჟუაზიული ევროპის მწერალი უფრია, ვიდრე ჩვენი რევოლუციური ქვეყნისა, და საკვირველიც არ იქნება, რომ ევროპამ იგი „სცნოს“ (პლატონ ქიქოძე „ლიტერატურული საქართველო“, წიგნი მეორე, 1934 წ., გვ. 110–111).

„გრ.რობაქიძე მთლიანი და ჩამოყალიბებული სახის ბურჟუაზიული მწერალია. „ბველის პერანგის“ გამარჯვება ბურჟუაზიულ გერმანიაში შემთხვევითი მოვლენა არ არის. კლასიური კანონზომიერება მოქმედებს აქ უსათუოდ“ (შალვა რადიანი – „თანამედროვე ქართული ლიტერატურა“, 1931 წ., გვ. 56).

„მხედველობაში არ გვაქვს ცვაიგის აღტაცება ამ რომანით. უცხოელი მწერლის აღმოსავლური ეგზოტიკით „მოხიბლვა“ ვერაფერს მატებს „ბველის პერანგის“ ღირებულებას და საბჭოთა საზოგადოებისათვის დამატებითი დამაჯერებელი საუთი არ არის“ (ზენიტო ბუაჩიძე – „თანამედროვე ქართული მწერლობის გზები“, 1934 წ., გვ. 87).

რაკი ბურჟუაზიულ მწერლად ჩათვალეს, მის ყოველ ნაბიჯს აკრიტიკებენ. 1928 წელს ლევ ტოლსტოის იუბილეს რომ დაესწრო და შთაბეჭდილებები გამოაქვეყნა, კარიკატურებით აავსეს ეურნალ-გაზეთები: თავისთავზე და შტეფან ცვაიგზე უფრო მეტს ლაპარაკობს, ვიდრე დიდ რუს მწერალზეო. არც „ფალესტრა“ მოეწონათ. ისიც პროლეტარიატისათვის მიუღებელ რომანად მიიჩნიეს. სულის შემხუთველი გარემოება შეუქმნეს. ერთადერთი რამაც დიდი სიხარული მოუტანა, „ლამარას“ გამაოგნებელი გამარჯვებაა რუსთაველის თეატრში. ყველა, ვისაც ეს წარმოდგენა უნახავს, ერთხმად ადასტურებს, რომ ეს იყო ნამდვილი თეატრალური დღესასწაული. „ლამარას“ მოტანილი სიხარული სიცოცხლის ბოლომდე გაჰყვება გრიგოლ რობაქიძეს. 1962 წელს, სიკვდილამდე ცოტა ხნით ადრე, მედიდურად იტყვის: „საქართველო ოდესმე იამაყებს მსოფლიოს წინაშე „ლამარათი“ (წერილი გიორგი გამყრელიძეს).

„ლამარა“ ემიგრაციაში წასასვლელადაც დაეხმარა გრიგოლ რობაქიძეს.

ეს არ იყო ჩვეულებრივი მოგზაურობა ევროპაში. იგი უცხოეთში სამუდამო დარჩენას აპირებდა. მოგვიანებით ნიკოს კაზანძაკისს გამოუტყდა: უკვე 1928 წელს „შინაგანად გადაწყვეტილი მქონდა დამეტოვებინა საბჭოთა კავშირი“. გერმანიაში წასასვლელად ნებართვა დიდი ჯახირით მიუღია. „ორ წელიწადზე მეტხანს ვცდილობდი, გამომეგლიჯა თანხმობა გასამგზავრებლად“. ამაში დიდად დახმარებია რუსთაველის თეატრის გასტროლები მოსკოვში 1930 წელს და მისი „ლამარას“ გამარჯვება. ბერძენ მწერალს უყვება: „ერთხელ თეატრს ეწვია თვითონ „ის“ – სტალინი. იგი მხოლოდ ბოლო მოქმედების დროს შემოვიდა. შეძრულმა წარმოდგენის ბოლოს გამოთქვა სურვილი, სპექტაკლი თავიდან განმეორებულიყო. დაცარიელებული თეატრის დარბაზში ხელახლა, უფრო დიდი ენთუზიაზმით, განმეორდა წარმოდგენა“. მაშინ საბჭოთა ხელისუფლებას მიზანშეწონილად მიუჩნევია რუსთაველის თეატრის ევროპა-ამერიკაში გაგზავნა შერე ეს საქმე ჩაიშალა). გრიგოლ რობაქიძეს უცდია გამოეყენებინა ეს ვითარება. იმავე ნიკოს კაზანძაკისისადმი მიწერილი ბარათით შეგვიძლია შევიტყოთ:

„მე, რომელიც ამდენ ხანს საზღვარგარეთის პასპორტისათვის ვიბრძოდი, შევეცადე გამომეყენებინა ეს შემთხვევა. ამავე წლის (1930 – ა.ბ.) ნოემბერში მოსკოვს გავემგზავრე, სადაც ჯერ კიდევ არ მიმქრალიყო „ლამარას“ გამოძახილი. დიდი ხნის ლოდინის შემდეგ მომიხერხდა კრემლში ენუქიძის ნახვა, რომელიც გავლენიანი პირი იყო კულტურული საქმიანობის დარგში. ის სტალინის ანტიპოდი გახლდათ. ბევრს დახმარებია გაჭირვებისას. 1937 წელს სიკვდილით დასაჯეს, როგორც „მოღალატე“. მე მას ავუხსენი, რომ, როგორც „ლამარას“ ავტორს, შემეძლო უცხოეთში თეატრისათვის დახმარება გამეწია. მისი შემწეობით პასპორტი მივიღე“.

1931 წლის 6 მარტს გრიგოლ რობაქიძეს, მის ცოლს ელენე ფიალკინას და თანამეცხედრის დისწულს ხუთი წლის ალია პოგორელოვას საზღვარი გადაულახავთ და შვიდ მარტს უკვე ბერლინში ჩასულან.

ერთხანს საქართველოში დუმილია. გრიგოლ რობაქიძის წასვლას არავინ ეხმაურება, არც ავად, არც კარგად. ბოლშევიკურ-კომუნისტურმა ხელისუფლებამ, ჯერ არ იცის – რას იზამს გრიგოლ რობაქიძე. 1931 წლის 9 მარტს საქართველოს მწერალთა ფედერაციის წევრდა ჩაატარეს. 27 კაცი გარიცხეს სხვადასხვა მიზეზით. მათ შორის, კონსტანტინე გამსახურდია, იოსებ იმედაშვილი, პავლე ინგოროყვა, გერონტი ქიქოძე, შალვა შარაშიძე (თაგუნა). მათ ბრალად დასდეს რეაქციონერობა და საბჭოთა ხელისუფლებისადმი მტრული დამოკიდებულება. დანარჩენები კი გაირიცხნენ ორი მიზეზით: პირველი – შემთხვევით მოხვდნენ მწერალთა ფედერაციაში და მწერლობასთან კავშირი არა აქვთო (ერეკლე ტატიშვილი, დიმიტრი უზნაძე, სიმონ ყაუხჩიშვილი, სიმონ ჯანაშია). მეორე – პასიური წევრები არიან, ზარმაცობენ და წლების მანძილზე არაფერს წერენო (ხარიტონ ვარდოშვილი, ნიკო კეცხოველი, მიხეილ მრევლიშვილი, ქრისტეფორე რაჭველიშვილი, ლელი ჯაფარიძე და სხვანი). მაშინ გრიგოლ რობაქიძე გადარჩა. იგი არ გაურიცხავთ, მიუხედავად იმისა, რომ უკვე კაპიტალისტურ ევროპაშია. ჯერჯერობით თავს იკავებენ. ხუმრობა ხომ არ არის „ლამარა“ სტალინს მოეწონა. ასეთ მწერალს ადვილად ვერ შებედავენ, სანამ უზენაესი ნებართვა არ იქნება. მაგრამ დუმილი დიდხანს არ გაგრძელდება. მალე ისეთი წვერთაგლეჯა ატყდება, რომ მტრისას. ხელისუფლებამ მზაკვრულ ხერხს მიმართა. არ იკმარა გრიგოლ მუშიშვილისა და კომუნისტური პარტიის სამსახურში ჩამდგარი სხვა ჟურნალისტების პამფლეტები. არ დაჯერდა იმას, რომ ბოლშევიკურ-კომუნისტურმა პრესამ გრიგოლ რობაქიძე უკვე მონათლა ფაშისტად, რასისტად, კაპიტალიზმის აპოლოგეტად.

„ბველმა პერანგი გამოიცვალა. „ბველმა თავისი თავი დატოვა: მოიხსნა და გადააგდო“. გველი იცვლის პერანგს, მაგრამ არა საკუთარ არსებას – გველი გველად რჩება მაინც, უფრო საშიშ, გაახალგაზრდავებულ გველად.

მიხაკისფერი ყანწით – ფაშისტური დაღით მკერდის შუაგულზე – სვამს გრიგოლ რობაქიძე გერმანული ფაშიზმის, მისი დამპალი კულტურის, რასიული იდეოლოგიის სადღეგრძელოს...“ (გ.მუშიშვილი – „ბველის პერანგოსანი“, 1934 წ., გვ. 44).

კომუნისტური პარტია მარტო ლანძღვა-გინებით არ კმაყოფილდება. ადამიანთა შორის უნდა დათესოს სიძულვილი, მტრობა და შუღლი. გრიგოლ რობაქიძის გულითად მეგობრებს, ცისფერყანწელებს: ვალერიან გაფრინდაშვილს, პაოლო იაშვილს, ნიკოლო მიწიშვილს, ტიციან ტაბიძეს აიძულებს ხელისუფლება გამოვიდნენ გრიგოლ რობაქიძის წინააღმდეგ. და აი, 1935 წლის „მნათობის“ მეოთხე წიგნში ქვეყნდება მათი მიმართვა სრულიად საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის პრეზიდიუმისადმი. საგანგებოდ მოვიტან ამ „მიმართვის“ ტექსტს თავიდან ბოლომდე. მასში საოცარი სიცხადით ჩანს საერთოდ ადამიანისა და კერძოდ მწერლის მდგომარეობა მაშინ.

„რაც უფრო მტკიცდება საბჭოთა კავშირში ძლევამოსილი სოციალისტური მშენებლობა, რომელსაც კომუნისტური პარტიისა და მისი გენიალური ბელადის იოსებ სტალინის მეთაურობით ასეთის განსაცვიფრებელი წარმატებით ეწევა გამარჯვებული მუშათა კლასი, რაც უფრო მეტ სიყვარულსა და თანაგრძნობას პოულობს მთელს მოწინავე მსოფლიოში ჩვენი სოციალისტური სამშობლო, – მით უფრო მძაფრდება განწირულ კაპიტალისტურ ქვეყნების მხრივ შემოტევა საბჭოთა რესპუბლიკების წინააღმდეგ, მით უფრო აძლიერებს წინააღმდეგობას საბჭოთა კავშირში აშკარა ბრძოლაში განადგურებული კლასობრივი მტრის ნამსხვრევები. კაპიტალისტურ მძარცველებს სურთ თავიდან აიცილონ ისტორიის სასიკვდილო განაჩენი და არ ერიდებიან არავითარ საშუალებას, რათა შეინარჩუნონ უფლება მშრომელთა კაცობრიობის ექსპლოატაციისა.

ამ გადამწყვეტ ბრძოლაში ყოველი პატიოსანი მშრომელი, საზიცოცხლო და პროგრესიული ძალები მთელს მსოფლიოში დღითი-დღე ირაზმება ლენინ-სტალინის უკვდავ იდეათა დროშის ქვეშ, რათა უკანასკნელ და გადამწყვეტ ბრძოლაში გაანადგუროს კაპიტალისტების ხროვა, რომლის უკიდურესი იდეური გამომსახველი არის თანამედროვე ფაშიზმი და განსაკუთრებით ჰიტლერ-როზენბერგის გათაგხედებული ბანდები.

ეს საშუალო საუკუნეების

ᲒᲐᲠᲘᲡᲮᲕᲐᲜᲐᲗᲐ ᲛᲝᲛᲔᲠᲯᲔᲚᲘ ᲒᲕᲔᲠᲓᲖᲔ

გაგრძელება. დასაწ. იხ. „საქართველო“ №109–119 1997წ, №1

კარდუ

ანუ გრიგოლ რობაქიძის ცხოვრება და ღვაწლი

მეხუთე გვერდიდან

ბარბაროსები დღეს სწვავენ და ანადგურებენ ყველაფერს, რაც შეუქმნია მოწინავე კაცობრიობის აზროვნებას, აძევებენ თავის ქვეყნიდან სამშობლოს რჩეულ შვილებს, ხერეტენ, საპყრობილეებსა და საკონცენტრაციო ბანაკებში ალპობენ მებრძოლი პროლეტარიატის საუკეთესო ძალებს. ყოველ პატიოსან მშრომელთათვის, მწერლისათვის, ხელოვანისათვის ფაშისტური ქვეყანა ხდება ჩაგვრის, წამების და განწირვის ჯოჯოხეთად.

ასეთ დროს ქართველი მწერლების რიგებს მოღალატურად სტოვებს და როზენბერგის ბანდებს ეკედლება ერთი ქართველი მწერალი, რომლის სახელი ამიერიდან ხდება სამარცხვინოდ ყოველ საბჭოთა მწერლისა და მოქალაქისათვის.

ეს მწერალი გრიგოლ რობაქიძეა.

ეს თვალთმაქცი ადამიანი, დღიდან საქართველოში საბჭოთა წყობილების დამყარებისა, ატყვილებდა რა ხელისუფლებას, მწერლობას და საბჭოთა საზოგადოებას, გულში ატარებდა მშრომელთა ქვეყნის და საბჭოთა საქართველოს ღალატის მუხანათურ აზრებს.

და ეს ზრახვები დღეს გრიგოლ რობაქიძემ განახორციელა საბჭოთა საქართველოდან ქურდულად უცხოეთში წასვლით, ფაშიზმის ბანაკში აშკარად გადასვლით და იქ ჩვენი დიადი სოციალისტური სამშობლოს წინააღმდეგ მოღალატური, გამცემლური მუშაობით.

მისი ღალატის გამომჟღავნების შემდეგ ჩვენთვის აშკარაა, რომ ქართველი საბჭოთა მწერლისათვის ამ უჩვეულო საქციელს სარჩული წარსულში ჰქონდა. და ვინც გაიხსენებს რობაქიძის მუშაობას რუსულ შოვინისტურ პრესაში, მის ბულვარულ რომანს „ფალესტრას“ და იდეალისტურ რასისტულ წიგნს „გველის პერანგს“ და მთელ მის მხატვრულ პროდუქციას, გამსჭვალულს გადაგვარებულ კლასთა იდეურ სიღატაკით და დაკნინებულს მხატვრული ფორმით, – მისთვის რობაქიძის ეს უმსგავსო და ბოროტი საქციელი გასაგები ხდება, როგორც ლოღიკური დასკვნა ამ განდიდების სენით შეპყრობილ, გადაგვარებულ პიროვნების მუშაობისა.

ამ ულირსი საქციელის საპასუხოდ ჩვენ, საბჭოთა მწერლობასთან ერთად, მწერლობის რიგებიდან უკვე ზიზღით განდევნილ რობაქიძის წინააღმდეგ, კიდევ უფრო შევამჭიდროებთ ჩვენს რიგებს კომუნისტური პარტიის გარშემო და მთელი ჩვენი შემოქმედებითი უნარით ვებრძოლებთ ახალი სოციალისტური ხელოვნებისათვის.

საბჭოთა საქართველო მოწინავე რესპუბლიკად ხდება ჩვენი კავშირის რესპუბლიკათა შორის. შენდება ახალი ქარხნები, ელექტრო–გიგანტები, კოლხეთის დამპალი ჭაობები იქცევა ციტრუსების მთლიან ბაღად, დღითიდღე იზრდება ჩვენი საბჭოთა მწერლობა, რომელმაც უდიდესი გამარჯვება ჰპოვა პირველ საკავშირო ყრილობაზე. ქართული თეატრი მიჩნეულია როგორც მსოფლიო მნიშვნელობის თეატრი. წინად დაბეჩავებული და გაღატაკებული ქართველი გლეხი დღეს უკვე შესდგა შეძლებული კოლმეურნის მტკიცე გზაზე და უკანასკნელ პერიოდში მიღწეულ გამარჯვებათა შედეგად ჩვენი რესპუბლიკის სახელმწიფო ღერბს დღეს ემატება დიადი ლენინის სახელობის ბრწყინვალე ორდენი.

ჩვენ ერთი წუთითაც არ ვეიწყებთ, რომ ჩვენი წინსვლის გზა განათებულია უდიდესი ბელადის და უსაყვარლესი ადამიანის – იოსებ სტალინის აზრთა სხივით, რომ ამ აზრთა პრაქტიკული განხორციელება და ამისათვის შემოქმედებითი სამსახური ჩვენ უდიდეს, უკეთილშობილეს და სასიქადულო საქმედ მიგვაჩნია.

განვაგრძობთ რა ამ, ისტორიით გამართლებულ გზაზე წინსვლას, ჩვენ ერთი წუთითაც არ შეეჭიდებით გრიგოლ რობაქიძის სახელთან, რომელიც ამიერიდან მკედარია საბჭოთა მწერლობისა და ყოველი პატიოსანი საბჭოთა მოქალაქისათვის.

ჩვენ, ქართველი მწერლები, რომელნიც ერთ დროს უახლოეს ლიტერატურულ შემოქმედებით დამოკიდებულებაში ვიყავით გრიგოლ რობაქიძესთან, მიემართავთ საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის პრეზიდიუმს, რომ ფაშისტი გრიგოლ რობაქიძე სოციალისტური სამშობლოს ღალატისათვის და გამცემლური მუშაობისათვის გამოცხადებულ იქნას სოციალისტურ სამშობლოს მოღალატედ და აღიძრას საკითხი საქართველოს საბჭოთა მთავრობის წინაშე გრიგოლ რობაქიძის წინააღმდეგ სათანადო სახელმწიფოებრივი აქტის განხორციელების შესახებ“.

დაუჯერებელია, რომ ეს ვალერიან გაფრინდაშვილის, პაოლო იაშვილის, ნიკოლო მიწიშვილის და ტიციან ტაბიძის დაწერილია. რა მაძლევს ამის თქმის უფლებას?

ჯერ ერთი ის, რომ მათ უახლოესი და გულწრფელი მეგობრობა აკავშირებდა. არა ერთი და ორი საქებარი სტრიქონი მიუძღვნიათ ერთმანეთისათვის. ერთხმად აღიარებდნენ გრიგოლ რობაქიძეს მათი ორდენის შთამაგონებლად და გზის გამკაფავად.

„მომართვა ჩემი, კარდინალო
ჩვენი ორდენის,
იქნება მძიმე.
შენი შუბლი, უფრო მძიმეა
ყველა ლექსებზე, რაც მე და
შენ დაგვიწერია...

დეგ, ძალდატანებისა და ახლობლების სიკვდილით მუქარის თვინიერ, არავინ დაწერს ან იტყვის, რომ გრიგოლ რობაქიძე იყო განდიდების მანიით შეპყრობილი, მისი „ფალესტრა“ ბულვარული რომანია, „გველის პერანგი“ და საერთოდ მისი შემოქმედება, აზრობრივად და მხატვრულად, ცნინია და ღატაკი.

მეორეც ის, რომ ოთხი ხელმომწერიდან ორი – ნიკოლო მიწიშვილი და ტიციან ტაბიძე – დააპატიმრეს და დახვრიტეს. ერთმა – პაოლო იაშვილმა – თავი მოიკლა. მხოლოდ ერთი – ვალერიან გაფრინდაშვილი – გარდაიცვალა ბუნებრივი სიკვდილით. მაგრამ მაინც საკითხავია: გარდაიცვალა კი ბუნებრივი სიკვდილით? თუ მას სხვაგვარი ხერხით შეუმოკლეს ცხოვრების დღენი? 1941 წელს, როცა 52 წლის ვალერიან გაფრინდაშვილი გარდაიცვალა, ეს სრულებით არ იყო გამორიცხული.

არც სულმოკლეობის გამო მოაწერდნენ ისინი ხელს „მიმართვას“. ყოველმა მათგანმა წინასწარ იცოდა, რაც მოელოდათ. ტიციან ტაბიძემ და ნიკოლო მიწიშვილმა იწინასწარმეტყველეს ეს კიდეც.

ლექსში – „სერგეი ესენინს“ – ტიციან ტაბიძე ამბობს:

განა შენ დარჩი მარტო
...
ხარ მარმარილო და
კენტაური.
ცილინდრი ძვირად უფრო
ხშირად
საწყალო ცქერით.
როდესაც ეძებ ახალ ლექსს
და შენს ბავშვს ალკას:
ჩვენის ტირილით
განსვენებულს.
უწმინდეს გრიგოლს.
უნეტარესს გრიგოლს.
უსაყვარლეს გრიგოლს.
უსმენთ სინდისით, სიმკაცრით მდიდარს“

(პაოლო იაშვილი – „გრიგოლ რობაქიძეს“)

1919 წლის „მეოცნებე ნიამორების“ თებერვლის წიგნი, რედაქტორს ვალერიან გაფრინდაშვილს უზუქებია წარწერით – „პოეტს და ოქროპირს გრიგოლ რობაქიძეს...“

„ნაპოლეონის მედიდური
უცხო პროფილი.
შავი ცილინდრი. ყრუ
ნაბიჯი. ხელთათმანები.
განდეგილის ხმა –
ჩვენებათა ავი მზმანები...
...
თეთრ სიამაყეს აქანდაკებ
შენი დიდებით
და სერაბიმი მარტოობის
გდარაჯობს ხშირად,
რომ შენ, მზიური, დაიფერფლო ღამის ნახშირად“

(ვალერიან გაფრინდაშვილი – „გრიგოლ რობაქიძე“)

ტიციან ტაბიძის სტრიქონები, წარმოთქმული გრიგოლ რობაქიძის ქებად, უკვე მოვიხმე ადრე. რაც მე მოვიტანე, თითო–ოროლა ნიმუშია. გაცილებით მეტი შეიძლება გავაცნოთ მკითხველს. მაგრამ საბუთად ესეც კმარა.

არც გრიგოლ რობაქიძე აკლებს მათ ხოტბის სიტყვას. ამის დასტურია სონეტები „ვალერიან გაფრინდაშვილს“, „ტიციან ტაბიძეს“. „სონეტი ლოცვისა“ კი ასეთ ქვესათაურსაც ატარებს – „ახალ მხედართ: ე.გაფრინდაშვილს, პ.იაშვილს, ტ.ტაბიძეს“.

ამგვარი ურთიერთობის შემაურა პაოლო იაშვილის ტრაგიკული ბოლოსაც.

„ახლა ეს კაცი – ნიჭიერი პოეტი, ღმერთების საყვარელი, მეფე და მათხოვარი, მარადი ჭაბუკი, შვილი მზისა – ცოცხალი აღარ არი. როგორც ვარშავიდან შეგვატყობინეს, მას მყისვე მოუკლავს თავი, როცა მის დასაპატიმრებლად ГПУ-ს აგენტები მისულან. შეიძლებოდა კი, რომ იგი აღმდგარიყო ბოლშევიზმის წინააღმდეგ? თვითონ არ ყოფილა ბოლშევიკი, მაგრამ საბჭოების მიერ შექმნილი სინამდვილის ჩარჩოებში პატიოსნად მუშაობდა. ზოგიერთ, განსაკუთრებით ბოლო წლებში დაწერილ ლექსში ცდილობს კიდეც საბჭოურ მიზნებს შეეგუოს. ამ ლექსებს აკლიათ რაღაც, რაც ყველა მის ადრინდელ ლექსშია. ძნელი მისახვედრი არ არის – რატომ. იქნებოდა იგი ახლა რაიმე შეთქმულების მონაწილე? ფიქრიც კი არ შეიძლება ამაზე. კლასობრივი ბრძოლა და მისი მსგავსი რამ ძალიან შორს იყო პიაშვილის ნატიფი არსებისაგან.

1924 წელს, საქართველოში დიდი აჯანყების დროს, დახვრიტეს მისი უმცროსი ძმა. დედას დაუმალეს ეს გამანადგურებელი ამბავი. იაშვილმა ითავა, რომ დაერწმუნებინა დედა: მას შვილი ცოცხალი ჰყავს. ირანშია გადახვეწილი და იქ ცხოვრობს. წლების მანძილზე, დახვრეტილი ძმის სახელით, პიაშვილი წერილებს უგზავნიდა დედას. შეგიძლიათ წარმოიდგინოთ ტანჯვა იმ კაცისა, რომელიც ცდილობს ძმის ხელწერას მიამსგავსოს თავისი, დედამ ტყუილში რომ არ დაიჭიროს.

თუ საწყალი მოხუცი ახლა ცოცხალია, გაიგებს, რომ მარტო ერთი შვილი არ დაუკარგავს.

ამ ადამიანის აღსასრული, რომელმაც ეს–ეს იყო ორმოცს გადაბიჯა, შემაძრწუნებელია. სიტყვა ვერ მიპოვნია ტკივილის გამოსახატავად“.

გრიგოლ რობაქიძე ხშირად ასახელებდა ქართული ლირიკის, მისთვის საყვარელ, ათ შედევრს. ათიდან ორი პაოლო იაშვილის ლექსი იყო – „არგვეთის ღამეები“ და „წერილი დედას“. ისიც გაიხსენეთ, რომ პაოლო იაშვილი და ტიციან ტაბიძე გრაალის გუშაგებად გამოიყვანა გრიგოლ რობაქიძემ თავის, 1937 წელს გამოქვეყნებულ რომანში – „გრაალის მცველნი“. ყველაფერი ეს ნათლად ადასტურებს იმას, რომ, მიუხედავად სიშორისა, მათი სულიერი ურთიერთკავშირი არ გაწყვეტილა. მათ მეგობრობას „მნათობში“ დაბეჭდილი „მიმართვა“ ვერ მოერია. რომელმა ჭკუათმყოფელმა ადამიანმა არ იცოდა – რომ იყო შეთითხნილი იგი. როგორი „ოსტატობით“ დგამდა კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი სპექტაკლებს და ანაწილებდა როლებს, როგორც მთელ სსრკ–ში, ისე საქართველოში.

სპექტაკლი „მიმართვის“ გამოქვეყნებით არ დამთავრებულა. 1935 წლის 19 აპრილს საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის პრეზიდიუმის სხდომა მოეწყო. დიდხანს თათხავდნენ ამ სხდომაზე გრიგოლ რობაქიძეს. ბოლოს დადგენილება მიიღეს:

„სრულიად საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის პრეზიდიუმმა მოისმინა რა ფაშისტ გრრობაქიძის გამცემლური მუშაობის შესახებ მწერალთა ერთი ჯგუფის – პიაშვილის, ტ.ტაბიძის, ვ.გაფრინდაშვილის, ნ.მიწიშვილის – განცხადება, რომელსაც ერთსულოვნად შეუერთდა საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის მთელი აქტივი, დაადგინა:

ეთხოვოს სსსრ ცაკის პრეზიდიუმს, რათა გრიგოლ რობაქიძე, როგორც აშკარა მტერი ჩვენი ქვეყნის მშრომელი ხალხისა, გადასული კონტრევოლუციონურ ფაშისტურ ბანაკში, გამოცხადებულ იქნას სოციალისტური სამშობლოს მოღალატედ და ჩამოერთვას მას საბჭოთა მოქალაქეობა, აქედან გამომდინარე ყველა შედეგების განხორციელებით“.

გრიგოლ რობაქიძის სახელს მრავალი წლით ეაშნერს, ანუ ტაბუ დადეო.

ბაბრაძლება შემდეგ ნომერში

ალექსანდრე ორბელიანის *საზოგადოებამ ამ დიდებული მოღვაწისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია გამართა 1997 წლის 18-20 მარტს, ქართული ლიტერატურის ინსტიტუტში. ვრცელი ანგარიში დაიბეჭდა გაზეთ „ლიტერატურული საქართველოს“ 25 აპრილის ნომერში, წლის დამლევამდე და ცალკე წიგნადაც გამოიცა კონფერენციაზე წაკითხული მოხსენებები. საგულისხმოა, რომ გარდა ლიტერატურათმცოდნეებისა, მონაწილეობდნენ ისტორიკოსებიც.*

კონფერენცია ჩაფიქრებული იყო არა მარტოოდენ ალექსანდრე ორბელიანის ცხოვრებისა და შემოქმედების კვლევა-წარმოსაჩენად (რევაზ სირაძე, ტარიელ ფუტკარაძე, ნინო ვახანია, ნესტან სულავა, გიორგი ჯავახიშვილი, მაია გელიაშვილი), ანდა მხოლოდ მისი ეპოქისა და თანამედროვეების (ზურაბ კიკნაძე, თამაზ ჯოლოგუა), არამედ ქართული კულტურისა და ისტორიის შესწავლისათვის საერთოდ, იქნება ეს სვიმონ ლოლოთეტის თხზულებათა თარგმანები, კოსტასთავის შეთქმულების გაცემის გარემოებანი, საქართველოსა და ევროპის ურთიერთობის უცნობი ფურცლები XIV საუკუნეში, „დავითიანის“ საგულისხმო ასპექტი, საკუთარ სახელთა რქმევის ზოგიერთი ტრადიცია, ილია ჭავჭავაძის მხატვრული ნაზრევი, ვასილ ბარნოვის მიერ წარმოსახული ქართული ეკლესიის ტრაგედია, ივანე ჯავახიშვილისეული გააზრება ელიტის და ხალხის მასებისა, ეპოქა და გალაკტიონის ტრაგიზმი (სოსო მახარაშვილი, ვაშა შუბითიძე, ვაშა კიკნაძე, როლანდ თოფჩიშვილი, ლალი დათაშვილი, მაია ნინიძე, სიმონ წერეთელი, ლია წერეთელი, გურამ ყორანაშვილი, ხათუნა პატაშური).

ამ სამეცნიერო კონფერენციისა და კრებულის მიზანიც ისაა, რის ხორცშესხმასაც ასე თავდადებით ცდილობს ალექსანდრე ორბელიანის საზოგადოება ჩვენს ქაოტურსა და მიკერძოებით გააზრებულ გარემოში: მოვლენებიდავინახოთ და შევაფასოთ ისე, როგორც სინამდვილეში მოხდა.

თვითონ ალექსანდრე ორბელიანის შემოქმედების ირგვლივ წაკითხული მოხსენებები ყველა თავისებურად საინტერესო და მნიშვნელოვანია, გაანალიზებულია მისი ლექსი „რუსთაველ“, მხატვრულ-ისტორიული ნარკვევი „საქართველოს მეფის ირაკლის ძე ლევან“, მოთხრობა „უმანკო სიხლე“, ქართული ნადიმის ტრადიციებისა თუ ქართული გალობისადმი მიძღვნილი კუბლიცისტური წერილები, კავკასიური მთლიანობის იდეის მისეული გააზრება.

ჩვენი გაზეთის მკითხველს გვსურს შევთავაზოთ ერთი სტატია კრებულიდან: თვალსაჩინო მეცნიერის რევაზ სირაძის თვალით წაკითხული ლექსი „რუსთაველ“, რაც ჯერ კიდევ ვახტანგ კოტეტიშვილმა მიიჩნია მეტად მნიშვნელოვან მხატვრულ ძვნილებად და მთლიანად დაიმოწმა ალექსანდრე ორბელიანისადმი მიძღვნილ ნარკვევში.

დავძენთ, რომ შთაბეჭდილება, რასაც აღგვიძრავს ალექსანდრე ორბელიანის ხსოვნისადმი მიძღვნილი პირველი საერთაშორისო კონფერენციის მასალები, გვარწმუნებს, რომ მოდევნო კონფერენციები შეინარჩუნებს, გაალრმავებს და გაამრავალფეროვნებს ამ მნიშვნელოვან წამოწყებას.

«სული, დავნებული სურვილითა»

ალექსანდრე ორბელიანის ლექსი „რუსთაველი“

რევაზ სირაძე

ეს ლექსი ალექსანდრე ორბელიანს დაუწერია 1852 წელს, ალგეთის ხეობაში, წმინდა სამების მთაზე.

აქაა რომანტიკული ქება რუსთაველისა, მოწოდებული თავისუფალი თეთრი ლექსის ფორმით, სადაც ერთ-ორჯერ თუ გაკრთება უბრალო რითმა, რომელიც რითმად არც კი აღიქმება თვით ურითმობის ფონზე. ლექსთმცოდნენი რომ დაინტერესებულიყვნენ ამ ლექსით, ალბათ, იტყოდნენ, რომ ესაა თავისუფალი თეთრი ლექსის ერთ-ერთი პირველნიმუში (თუ არა – პირველი – ქართულ რომანტიზმში, რომელიც ფორმის მიხედვით (და ესაა მთავარი), უნდა იყოს ამოზრდილი ტრადიციული „პროზაული“ ჰიმნოგრაფიიდან. ამ მხრივაც ეს ლექსი საგანგებო შესწავლას იმსახურებს. აქ გამოელენილია, – ვიტყოდით ასე, – „არალექსითი რომანტიზმი“, ანუ არაოდენპოეტური, არა ოდენლიტერატურული, არამედ საერთო-მსოფლხედვითი რომანტიზმი, გნებავთ, რომანტიკული კულტუროლოგია, პოეტურად გამოთქმული ერის კულტურული დიდების სიმბოლოს წინაშე. ამით მას ეხმიანება „თამარის სახე ბეთანიის ეკლესიაში“. ესაა ერთი საფიქრალის ორგვარი გამოელინება. ცხადია, ალექსანდრე ორბელიანი მხატვრული სიმაღლით ვერ შეემსგავსება გრორბელიანის ლექსს, ოდონდ არა იმიტომ, რომ იგი არამეტრული ფორმითაა წარმოდგენილი – პირიქით, „პროზაულობა“ ამ ლექსში მედიტაციურობას აძლიერებს.

ლექსი იწყება ასე: „რუსთაველ!“ – და ესაა იმდროინდელი არცთუ უმაღლესი პოეტური გემოვნების გამოელინება, რასაც მოჰყვება შემდეგი სტრიქონები: „ყოველის ზეციური მადლით გაბრწყინვებულო, და ანგელოზებრ წმინდად ამომსუნთქველო!“ ამგვარი დასაწყისი გვკარნახობს, რომ ლექსი აღიქვათ რელიგიური სულიერებითა და პათეტიკური ამაღლებულობით, რაც მოწოდებულია ქრისტიანული უნიეერსალიების გამომხატველი სიტყვახმარებით. ასეთი აზროვნება არ მიესწრაფვის ორიგინალობას. „ორიგინალობას“ ქმნის არჩეანი საერთო-გამომსახველობითი არსენალიდან, მაგალითად, ასეთი: „ვინ მოგიტანა დიდსულოვნების რტო სასუფეველიდან?“ ეს ეხმიანება დემეტრე დამიანეს სიტყვებს: „მორჩი კეთილი ედემში დანერგული, ალვა სულნელი, სამოთხით გამოსრული“, ანდა – „დავითიანს“, რომელშიც ძალზე ხშირია ღვთის განსახოვნება რტოთი („შრტო“). მაშასადამე, რუსთაველს მიემართება ტრადიციულად ღვთაებასთან დაკავშირებული სიმბოლიკა (იოანე ზაფოელის ვარძიის ღვთისმშობლისადმი მიძღვნილ „გალობანში“ ღვთისმშობელი წარმოჩენილია იმგვარი ნიშნებით, რომლებიც გასაიდეალებლად მიაჩნდათ თამარ მეფის სახეში). ესაა პოეტური გზა ადამიანის განღმრთობისა.

სწორედ ამგვარად უნდა აღიქვათ შემდეგი სიტყვებიც: „ცოფილთა მოგფინეს მზის პოდირი“ (ანუ შარაეანდედი); „ცა პატიესა გცემს ღრუბლის გვირგვინით“ (148-ე ფსალმუნშია: „აქებდით უფალსა ცათაგან, აქებდით მას ცანი ცათანი“. მსგავსი სახისმეტყველებაა თამარისეულ საგალობელში „ცასა ცათასა“).

მაშასადამე, ალ.ორბელიანის პოეტური სიტყვახმარება მიმართულია ორმხრივ: ღვთისა და რუსთაველისაკენ. ამის გაუთვალისწინებლად გაუგებარი რჩება ლექსის მთელი რიგი პასაჟები, რომლებიც უბრალო კონვენციურ ფრაზეოლოგიად ჩაითვლება და მეტიც – შეიძლება აღმოსავლური ტროპიკიდან მომდინარედაც კი – მიგვეჩნია, რაც გამორიცხულია ამ ლექსისათვის („საიდან სცან ტკივილი სოფლის გულისა? ნეტავი რად ილმე ტკინვა მისი, დაუდგრომლისა? რომლის სამოთხის სურნელებით ავსილი ხარ?“). ეს ყველაფერი, უპირველეს ყოველისა, ბიბლიურია და ფსალმუნურ-ჰიმნოგრაფიული, შემდეგ – რუსთაველური და ამ გზით რომანტიზებული.

ის, რაც შეიძლება მაცხოვარზე ან ანგელოსურ სამყაროზე თქმულიყო, ლექსში რუსთაველზეა ნათქვამი და ამ გზით წარმოჩენილია ღვთაებრივი ხატი რუსთაველში.

ეფიქრობთ, ნიშანდობლივია, რომ ლექსი აგებულია მიმართვაზე (ისევე, როგორც ნ.ბარათაშვილის ლექსები). გრ.კიკნაძე აღნიშნავდა, რომ ქართველი რომანტიკოსებისათვის დამახასიათებელიაო წარსულის აწმყოში გადმოტანა და მისი აწმყოსეულად განცდაო. ამის საშუალებას ქმნის მიმართვა – „შენ“ (რომელიც თვით ღვთისადმი მიმართვის ფორმაა). „შენ“ სულიერ სიახლოვეს ამყარებს რუსთაველთან. საერთოდ კი, რომანტიზმში ასეა – „შენ და მე“ და არა – პირუკუ ყოველ შემთხვევაში, მთავარია „შენ“. ძველ ქართულ მწერლობაშიცაა რუსთველისადმი უშუალო მიმართვანი, როცა იგი პოეტური შთაგონების წყაროდაა მიჩნეული („აწ, რუსთველო, გეაჯები, რომე მომცე ნება თქმისა“). ალ.ორბელიანთან ამ იდეის რომანტიზებაა.

რუსთველის სახეში გარკვეულწილად ნიკოლოზ ბარათაშვილისეული ნიშნებიც ჩანს, თუნდაც „მსოფლიო სევდის“ ცრემლოვანი განცდით („ვინ გაურია შენს მტკივნეარე ცრემლში, აუარებელში, სიტკბო... ის ცრემლი, რომლის მაღაროში შეგუბებულია მეტად წმინდა გაბროლეული? ის ცრემლი, რაც ემბაზით მიაქეს ცის კამარის მოსარწყავად მთავარე სრულსა?.. რომელს მდინარეს მიუთხრობდი შენს გულის წადილს?“).

ასეთ ფონზე სრულიად განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ლექსის შემდეგი სახე – „სული, დავნებული სურვილითა“. ამ სულის მხილველია რუსთველი (იგი მისკენ „მომფრინავია“), ე.ი. მასთან ზიარებულია. შეიძლება ამ სახეში თვით რუსთაველის სულიც-კი ამოვიცნოთ, თუკი ლექსის საერთო სახისმეტყველებას გავითვალისწინებთ.

„სული, დავნებული სურვილითა“, – ასეთ სახისმეტყველებას ძალუძს მაღალი პოეზია შექმნას, თუმცა ამას ერთგვარად აფერმკრთალებს „ვეფხისტყაოსანთან“ არცთუ წარმატებული შეხმიანება ზემომოყვანილ ფრაზას წინ უძღვის შემდეგი სტრიქონები: „ვინ გადაიპო თავისი გული ლესულ ალმასითა, და იმაში ანთებული სიყვარული ვინ გაჩეენა?“ ეს ეხმიანება „ვეფხისტყაოსნის“ ცნობილ სტრიქონს: „გასტეხს ქვასაცა მაგარსა გრდემლი ტყვეისა ლბილისა“). მაგრამ ერთი კია, რომ ამით „სულსა და სურვილს“ უკავშირდება სიყვარულიც. „სურვილი“ კი პეტრიწულ-რუსთველურია („მომეც მიჯნურთა სურვილი“). „სურვილი“ საღვთო სწრაფვაა. იქმნება ასეთი მთლიანობა: სული, სურვილი და სიყვარული. საღვთო სიყვარულის მატარებლად გვესახება „სული, დავნებული სურვილითა“. „დავნებული“ საღვთო „პასიონარობასაც“ უნდა გულისხმობდეს, რაც აგრეთვე საღვთო სინანულსა უკავშირდება (შდრ.: „ხეო უფოთლოო, მოისხი შენ ფოთლად ქრისტეს წამება“).

ლექსში რუსთაველის წარმოსადგენად ერთ-ერთი მთავარი საფუძველია ავთანდილის სახე, უფრო ზუსტად, მისი რომანტიზებული სახე (ტყობა, ეგეევ იყო თვით ალ.ორბელიანის საკუთარი შინაგანი იდეალი). ამას გვაფიქრებინებს შემდეგი სტრიქონები: „რომელს მინდორზე ილოცავდი, რომელ ცოფილთა მოგფინეს მზის პოდირი?.. რომელს მდინარეს მოუთხრობდი შენს გულის წადილს?.. რამდენ გვარი ფრინველები ყოფილან შენთან მესაუბრედ? ის რა ტყე არის, შენგნით მოლბენ მხეც-ნადირნი გააფთრებულნი?.. იყო სადა და ვინ გითხრა: „აგერ ხედავ? ცა პატიეს გცემს ღრუბლის გვირგვინით“. ყოველივე ეს ლექსში თქმულია რუსთაველზე.

არაა ძნელი საერთო მომენტები დავინახოთ ამ სიტყვებსა და იმათ შორის, რაც ავთანდილზეა თქმული „ვეფხისტყაოსანში“. მაგალითად: „ღამე ილხენდის, დღე სვჯიდის, ელის ჩასელასა მზისასა, რა წყალი ნახის, გარდახდის, უჭერეტდის ჭავლსა წყლისასა, მასთანა რთვიდის ნაკადსა სისხლისა ცრემლთა ტბისასა“; „რა ესმოდის მღერა ყმისა, სმენად მხეცნი მოვიდიან...“; ნესტანის პოვნით ავთანდილის გახარების ნიშნად „აგრგვინდა ცა, და ღრუბელნი ტიროდეს ბროლის ცვარითა“, რასაც ეხმიანება ნ.ბარათაშვილიც (ალ.ორბელიანის ლექსში ბარათაშვილისებურია აგრეთვე ასეთი სტრიქონი: „ამ დროს სიგრილის ცვარიც მოვიდა, გულსა მშვებელი“).

თუკი ალ.ორბელიანის ლექსში რუსთაველის პირველსახე ავთანდილია, ამით იკვეთება მისი რუსთველოლოგიური კონცეფცია, რომ „ვეფხისტყაოსანში“ ავთანდილის პირველსახე თვით რუსთაველია, იგია მისი ალტერ-ეგო. ესაა რომანტიკული კონცეფცია, რომლის უმთავრესი გამართლება პოეტურ ჭეშმარიტებაშია. ალ.ორბელიანი მრავალი კითხვით მიმართავს რუსთაველს, თუ სად, როგორ და როდის გადაგხდაო ის, რაც „ვეფხისტყაოსნის“ მიხედვით, თავს გადახდენია ავთანდილს. ალ.ორბელიანის მიერ ავთანდილის მიხედვითაა წარმოდგენილი „ვეფხისტყაოსნის“ მოვლენათა აღმქმელი, რამდენადაც პოემაში ძირითადია ტარიელის ამბები, რომლებსაც იგი უყვება ავთანდილს. ერთმანეთს ერწყმიან ავთანდილისა და რუსთაველის სახეები, ეითარცა პოემის მთავარი პოეტური სუბიექტებისა. ასეა ალ.ორბელიანის მიხედვით.

ლექსის დასასრულს მისი მხატვრულობის დონე მდაბლდება, რამდენადაც რუსთველის განდიდება და ქვეტექსტში მოცემული რომანტიკული პატრიოტიზმი ზედმეტი პათეტიკურობით გამოიხატება. ერთი რამ მაინც უნდა აღინიშნოს: ჰოლდერლინზე ნათქვამია, რომ მის პოეზიაშო იშვიათია ღვთის ხსენება, მაგრამ იგი აღესილიაო ღვთისმოსაობით. ალ.ორბელიანის ლექსიც უშუალოდ ღვთაებისადმი არაა მიმართული, მაგრამ მთელს ლექსს საღვთო სულიერება მსჭვალავს. ესაა მისი მთლიანობის განმსაზღვრელი. და ასეთ ფონზე რუსთაველის თუნდაც უსაზღვრო განდიდება დაეით ფსალმუნთმტყველზე ზეაღმატებულობას არ უნდა გულისხმობდეს. შეიძლებოდა ასეთი მაქსიმალიზმი იმით აგვეხსნა, რომ მაშინ, – როგორც სდოდაშვილი აღნიშნავდა, – ჯერ კიდევ ბევრს ვერ შეეგნო ღირსება საკუთარი ლიტერატურული წარსულისა. ამასთან დაპირისპირებამ მოიტანა სწორედ მაქსიმალისტური თვალსაზრისი. იგი დაემყარა რომანტიკულ წარმოსახვას. ამას თან ახლდა სწრაფვა („სურვილი“) რუსთაველის მაღალსულიერების თანაგანცდისაკენ. ალ.ორბელიანისათვის რუსთველის მაღალსულიერება სამოთხის მკეიდრთათვის წილხვდომილი ღირსებაა, ყველას და ყველაფერს ამთლიანებს „სული, დავნებული სურვილითა“, ანუ საღვთო სწრაფვა და ესაა მთავარი.

თემურ ჟორჟოლიანი:

ამათ, ყოფილ კომუნისტებს, დიდხანს არ გაუვათ...

მესამე გვერდიდან

როგორც იქნა, დაიწყო, მაგრამ რამდენი ბრძოლა დაგეჭირდა, რამდენი მუშაობა, რომ საქმე აქამდე მისულიყო. ახლა, ფინიშზე, ზოგიერთი „ვარსკვლავობას“ ჩემულობდა.. რეფორმა დასავლეთის ინტერესებში შედის. საერთოდ კაცობრიობის ინტერესებშია, რომ პოსტკომუნისტური სივრცე თანდათან დემოკრატიული აღმშენებლობის გზას დაადგეს. არა მხოლოდ სასამართლო, არამედ სხვა რეფორმებიც დაჩქარებული ტემპით უნდა მიმდინარეობდეს და ადრე უნდა დაწყებულიყო. სწორად ჩატარებული რეფორმები მოგვცემს გამჭვირვალე ხელისუფლებას. ასეთ პირობებში კი დღევანდელ ხელისუფლებას და „მოქალაქეებს“ უნდა ეშინოდეთ, რომ არ აირჩევენ. ისინი ადვილად ველარ გააყალბებენ არჩევნებს და თუ გააყალბებენ,ამას საზოგადოების მკვეთრი პროტესტი მოჰყვება. ახლა, როდესაც ადამიანები აბსოლუტურად დათრგუნული არიან, მათი უფლებები შელახული, სოციალურ-ეკონომიური პირობები საშინელი, მათ თავისი ნების გამოხატვის თავიც არა აქვთ. რეფორმები ამას შეცვლის და ამიტომაც მუხრუჭდება, რადგან ხელისუფლებამ ძალიან კარგად იცის, მათი ჩატარების პირობებში ისინი ძალაუფლებას დაკარგავენ.

– თქვენ ამბობთ,რეფორმები იგვიანებსო, ძალოვანი სტრუქტურები და სამართალდამცავები კი რეფორმების სიჩქარეზე აცხადებენ პროტესტს.

– ახლა წიგნს ვწერ, სადაც პოლიტიკური ანალიზის გარდა გარკვეული მიმოხილვაც იქნება 1988 წლიდან დღემდე. ჩემი პატიმრობის პერიოდში ბევრ ისეთ ნიუანსებში ჩავიხედე, რასაც ადრე ნაკლებ ყურადღებას ვაქცევდი. სასამართლო რეფორმაზე ისინი იმიტომ ამბობენ ჩქარა მიდისო, რომ ასეც უნდა თქვან. განა 70 წელი არ გვატყუებდნენ. მოუსმინეთ ნებისმიერი ხელისუფლების წარმომადგენელის გამოსვლას. ნახეთ, რა ოპტიმისტია. მათ სრული, აბსოლუტური ძალაუფლება აქვთ. აღარა აქვთ სათქმელი, რაღაც გვიშლის ხელსო. საოცარ კურიოზებს წავაწყდი. სხვა საკითხია, რამდენად დამნაშავე თუ მართალია ის პიროვნება, რომელიც დასაჯეს, მაგრამ განხილული საქმეები რომ მიეანდოთ და თავიდან გაარჩიოს ნებისმიერმა დასავლეთის სასამართლო სისტემამ, 80% გაათავისუფლებენ არასწორი ბრალდების, სამხილების და ფაქტების უკმარისობის გამო. ფაქტიურად,მოსამართლეები ან ვარაუდით, ან დაეალებით აკეთებენ განაჩენს. კურიოზია, მაგრამ ფაქტი: მკვლელს გარეთ უშვებენ და ნემსის ქურდს იჭერენ. 60 წლის მასწავლებელ კაცს, რომელმაც ეიღაც მეზობელი მილიციონერი გაანაწყენა, ბაზარში ორი პომიდორი ჩაუდეს და მერე დაიჭირეს, მოიპარეო. ვიღაც დედაკაციც კი მოძებნეს მოწმედ. 11 კაცის წინააღმდეგ მეზობლის გოჭის დაკვლისა და ქეიფისათვის სისხლის სამართლის საქმე აღძრეს. 5 კაცი იქედან დაჭერილია და 6 კი მიმალულაშია. რატომ? იმიტომ, რომ გოჭის პატრონს ძლიერი პატრონი ჰყავს. ამ დროს ამოცნობილი და დამტკიცებული მკვლელები გარეთ დადიან, რადგან მოკლული ჭირისუფლებს მფარველი არ ჰყავთ. საოცრებებს წააწყდები. ყველაფერი ეს კი ხალხის ფსიქოლოგიური დათრგუნვისთვისაა. განა 37-ში სხვაგვარად იყო? ნაწილს იჭერდნენ, რომ დანარჩენი. დაეშინებინათ.

– რადგან ასეთ საკითხს შეეხეთ, დღეს ყველაზე აქტუალური პროცესის, ჯაბა იოსელიანის სასამართლოს შესახებ რას იტყოდით?

– რაიმე კონკრეტული არ შემიძლია ვთქვა. ამ პროცესზე განსასჯელების უმეტესობას ვიცნობ. ვერავინ ვერ დამაჯერებს, რომ ჯაბა იოსელიანი და თემურ ხაჩიშვილი ამ საქმეში დამნაშავეები არიან. არც ერთს და არც მეორეს ეს არ სჭირდებოდა. პოლიტიკურად მათი თავიდან მოშორება ვის სჭირდებოდა, ეს ძალიან მალე გამოჩნდება. დღევანდელ პირობებში კი სასამართლო რეალობას და სიმართლეს ვერ გვიჩვენებს. დღეს მე მხოლოდ დაწოლას ვხედავ როგორც სასამართლოზე, ასევე საზოგადოებაზე – გინდა თუ არა ეს ხალხია დამნაშავეო. დღეს შეიძლება ამაზე ადრეც იყოს ლაპარაკი და ზედმეტად საშიშიც, რომ ეს იყო დაგეგმილი ციკლი, რომელშიც ძალიან ბევრი ხალხი მონაწილეობდა. ძალიან ბევრი ვინმე, მაგრამ რატომღაც მიიღეს გადაწყვეტილება, რომ მხოლოდ ჯაბას ხალხი დაეჭირათ. ამ საქმეზე ზვიადისტებიც იყვნენ დაჭერილი და მერე მათ სხვა რამეზე მიუსაჯეს, ხიდს აფეთქებდნენო. ხაბეიშვილის მკვლელობაზეც 19 კაცმა აღიარა მე მოვკალიო, ახლა სხვები დაიჭირეს. იმათ კი სხვადასხვა რამეებზე მაინც მიუსაჯეს.

– რატომ?

– ვის უნდა, რომ ისინი გამოვიდნენ და ილაპარაკონ. ასეთ პირობებში რა აღიარებაზეა და სამართალზეა საუბარი. კარგად ვიცი, რაც ხდება იმ ჯურღმულებში. სოლჟენიცინის მიერ აღწერილი ეპოქა არ დამთავრებულა. ძველი კომუნისტები მხვდებიან და უკვირთ: – კაცო, ადრე ვიღაცის ან რაღაცის მაინც გვეშინოდა, ამათ არაფრის არ ეშინიათო.

დამერწმუნეთ, ეს არის ჩამოყალიბებული მთლიანი მაფიის ერთი სტრუქტურა, რომელიც მეორე მაფიასთანაა დაკავშირებული, რომლის საკუთრებაა ეს პატიმრები და ყველაფერი. ზოგი მეუბნება, რომ შესაწირავი მიაქვთ ამ თანამშრომლებს მონასტრებში და ეკლესიებშო. ვისი მიაქვთ? რამდენი ობლის, რამდენი ქვრივის, რამდენი გაუბედურებულის, მშიერის ბოლო ლუკმა მათ სტომაქებს ავსებს. ამ უბედური ხალხისგან გაზულუქებულებს მერე შესაწირი მიაქვთ ეკლესიებში და ამით უნდათ ცოდვების მონანიება? ეს ამორალობა და სიბინძურეა. ღმერთმა აპატიოს ობლის ლუკმა? წილს აძლევს რა ღმერთს, რომ შეუნდოს? რა სასამართლო რეფორმაზეა ლაპარაკი. ამ სტრუქტურებში ყველა პროგრესი გამორიცხულია. ჩამოყალიბებულ, დამყყებულ სისტემას რა უშველის? ერთი საგაზეთო სტატია ვერ მოიცავს იმ მასალებს და ფაქტებს, რაც შევაგროვე. წიგნში ყველაფერი შევა. შორს წასვლა რად მინდა. აგერ, ამას წინათ დაავლეს ხელი ჩემს მეზობელს, უწესიერეს მშრომელ კაცს და უბზო-უკვლოდ სადღაც გააქანეს. ოჯახმა ძლივს იპოვა, რომელ განყოფილებაში იყო მიყვანილი. ის კაცი კი ღამე ცემეს და დილით გაუშვეს, შეგვეშალა, ეჭვი გვქონდა შენზეო. ესაა საქმე, ესაა სამართლებრივი სახელმწიფო? რეალურად ხომ ნებისმიერ მოქალაქეს, როცა მოეპრიანებათ, მაშინ დაიჭერენ; როცა მოეპრიანებათ, მაშინ მოკლავენ, გალახავენ, შეურაცხყოფას მიაყენებენ. ასეა და ხალხიც დათრგუნული და დაშინებულია. ზოგი იტანს ამას და ცხვრად იქცა, ზოგი კი ვერ იტანს და გარბის. უკვირთ, რატომაა ამხელა ემიგრაციაო. არა მხოლოდ ეკონომიური სიდუხჭირს გამოა, არამედ ღირსების შელახვა და სხვისი უბედურების ყურება აღარ შეუძლია ხალხს. კაცი რომ დილიდან ენაგადმოგდებული კაპიკის საშოენელად გამოდის, რომ საღამოს ოჯახში პური მიიტანოს, ასეთ მდგომარეობაში ჩაგდებული ხალხი რა პოლიტიკას შექმნის? რა მაღალი მატერიები შეიძლება ამ ხალხს მოსთხოვო, ან რა უფლებების დაცვაზე, დემოკრატიაზე და არჩევნებზე უნდა ელაპარაკო? ასეთი გაუსაძლისი პირობებით ცდილობს ხელისუფლება ძალაუფლების შენარჩუნებას.

– საქართველოში დასავლური გაგებით არის თუ არა პოლიტიკური პარტიების სპექტრი?

– რაც ვართ, როგორებიც ვართ, ისეთი პარტიებიც არსებობენ, 200 წელი ქვეყანა დაპყრობილი იყო. ჩვენ ფსიქიკაშეცვლილი ხალხი ვართ. ადამიანებს ნდობა აქვთ დაკარგული ხელისუფლების მიმართ, რადგან 200 წლის განმავლობაში დამპყრობლის ხელისუფლების ქვეშ იცხოვრეს. მით უმეტეს, ნდობის ფაქტორი მთლად წაშალა 70 წლიანმა მარიონეტულმა ხელისუფლებამ. განა დღეს იმ ხელისუფლების წარმომადგენლებს არ უკავიათ ისევ საკვანძო ადგილები? ის ადმინისტრატორები და ჩინოვნიკები არ არიან ისევ, რომლებიც ცოტა ხნის წინ იმპერიის ინტერესებს იცავდნენ საქართველოში? პატრიოტიზმზე და ქრისტიანობაზე რომ აპელირებენ დღეს, რა უნდათ? ძალაუფლება უნდათ. დასავლეთში ცოტა სხვა სურათია. იქ ხელისუფლებაში მოსვლა ტვირთი და ვალდებულებაცაა. აქ კი საშოვარია. მოვიდეს, იშოვოს, ჭამოს.

რაც შეეხება პოლიტიკურ პარტიებს, თუ დასავლეთს შევადარებთ, რა თქმა უნდა, აქ არსებობს რაღაც იდეის მატარებელი ბირთვები. როდესაც ქვეყანაში დემოკრატიას ავაშენებთ, მათ ბაზაზე შეიქმნება ნორმალური პარტიები და არა ისეთი, როგორიც მოქალაქეთა კავშირია. გადახედეთ, რა ხალხია იქ ესაა საშოვარზე მოსული ხალხი, რომელიც ყოველთვის იმ პარტიაში იქნება, სადაც მეტი ლუკმაა. ასე ივლიან პარტიიდან პარტიაში, ყველას ერგებიან. არათუ პიროვნებები, არამედ მთლიანად პარტიებიცაა ასეთი – საითაც სუნი ეცემათ და ქარი დაუბერავს, იქეთ იხრებიან: ხან მონარქია უნდათ, ხან რუსეთი და ხან დასავლეთი.

– მაინც როდის გვექნება დემოკრატია და ნორმალური ქვეყანა?

– გვექნება. ამათ, ყოფილ კომუნისტებს, დიდხანს არ გაუვათ. აჰაი და, ადრე დრო დაეკარგეთო, მაქსიმალურად ცდილობენ ერთ წუთში მილიონრებად გადაიქცნენ ჩვენი გაჭირვების ხარჯზე.

მოდით, გაეიხსენოთ რო დეეუ და პოლ პოტის რეჟიმები. გარკვეული პერიოდის განმავლობაში მათ დასავლეთი მხარს უჭერდა და არჩევნებსაც კი აყალბებინებდა, მაგრამ შემდეგ აღარ დაუდგა მხარში.

– თუ ამგვარადაა საქმე, ღმერთმა იცის, ვის რა მოუნდება; თანაც რუსეთის მადა ვიცით. გამოდის, საშველი არაა?

– საშველი არის, მაგრამ საშიშროებაც არსებობს. თუ 80-იან წლებში საქართველოში ანტირუსული განწყობა მძლავრი იყო, ბოლო წლებმა ანტიდასავლური განწყობილებები დაბადა. სამწუხაროდ, ეს საგრძნობია. მწიფდება აზრი, რომ დასავლეთი მიეხმარა მაფიოზურ კლანებს დემოკრატიის სახელით აქ ძარცვა-გლეჯა გაემართათ. ხალხში იმძლავრა პრორუსულმა განწყობილებამ. ამბობენ, თვითმყოფადობა და კეთილდღეობა მაინც გვქონდაო. ეს ძალიან საშიშია.

– შეიძლება იმპერია აღდგეს?

– არა მგონია. მაგრამ, მონის მდგომარეობაა საშიში. ხალხს თავისუფლების შეგრძნება აღარ უნდა. სიყალბე დაინახეს. ჩვენ ხომ სულ სხვა წარმოდგენა გვქონდა დასავლეთზე: ადამიანის უფლებების დაცვა, პიროვნების თავისუფლება, მოქალაქეობის მაღალი შეგნება, კანონის უზენაესობა, თავისუფალი არჩევანი და ა.შ. ახლა კი ხალხი რას ხედავს? ეს დასავლეთი ყოფილ კომუნისტებს და მაფიოზებს უჭერს მხარს. ამიტომაც შეიცვალა ხალხის განწყობა და არის საშიშროება ვიღაცეებმა ეს ცუდად გამოიყენონ.

– თქვენი პარტიის იდეა: კონსტიტუციური მონარქია ოცნებად დარჩება თუ შეიძლება რეალობად იქცეს?

– უკვე ორჯერ მოხდა, რომ საპარლამენტო მმართველობა უარყვეს საქართველოს პოლიტიკურმა ძალებმა. სხვათა შორის, პირველადაც, მრგვალი მაგიდის დროს და ახლაც ამ იდეას განუდგნენ ჩვენი იდეური კოლეგები, ე.წ. მონარქისტი-ტრადიციონალისტები. ამიტომ ხმის უმრავლესობით საპრეზიდენტო მმართველობამ გაიმარჯვა. ჩვენ არა გვაქვს ილუზია, რომ გუშინ ან დღეს შესაძლებელია მონარქიის აღდგენა საქართველოში. მაგრამ საპარლამენტო მმართველობის გზით ჩვენ თანდათან უნდა გადავსულიყავით კონსტიტუციურ მონარქიაზე. რა უპირატესობა აქვს მმართველობის ამ ფორმას, იმ ქვეყნების მაგალითიდანაც ჩანს, რომლებშიც მმართველობის ეს ფორმაა ან აღდგენილი, ან შენარჩუნებული.

– გმადლობთ.

მანანა იაშვილი

ფერგანიდან გაძევებულებს არა აქვთ ქართული ცნობიერება – ამბობს შარაძე

ე.წ. „თურქი მესხების“ პრობლემაზე ისაუბრა საპარლამენტო ფრაქცია „აღორძინების“ წევრმა, გურამ შარაძემ დღეს გამართულ პრეს-კონფერენციაზე. „საკითხის მოგვარება არ უნდა

იყოს აგებული არც ემოციებზე, არც „ურაპატრიოტულ“ ლოზუნგებზე და არც ქულების მოგროვებაზე“ – განაცხადა პარლამენტმა.

მცირე ისტორიული ექსკურსის შემდეგ შარაძემ განაცხადა, რომ საქართველო არ უნდა იყოს 1944 წელს საბჭოთა კავშირის ხელმძღვანელობის მიერ მესხეთში ჩადენილი უკანონო გადაწყვეტილებაზე პასუხისმგებელი. მითუმეტეს მაშინ, როცა მას ყოფილი სსრკ-ის ქონებაზე სამართალმემკვიდრედ არ აღიარებენ. პარლამენტარმა უზბეკეთში, ფერგანის ოლქში დატრიალებული ტრაგედიაც გაიხსენა, საიდანაც „თურქი მესხები“ ძალის გამოყენებით გამოაძევეს. „თუ პასუხისმგებლობაზეა საუბარი, უზბეკეთმაც აგოს პასუხი კაცობრიობის წინაშე ფერგანაში დაღვრილი სისხლის გამო“ – განაცხადა მან.

როგორც გურამ შარაძემ აღნიშნა, „თურქი მესხების“ 80-90%, რომლებიც წინაპრების მიწა-წყალზე ითხოვენ დაბრუნებას, ფერგანაში დაბადებული, გაზრდილია და წარმოდგენა არა აქვთ საქართველოზე, არ იციან ენა და არ აქვთ ჩამოყალიბებული ქართული ცნობიერება.

და ბოლოს, სანამ საქართველო არ შეუერთდება ბიშკეკის ხელშეკრულებას, არ მოხდება ამ ხელშეკრულების რატიფიცირება პარლამენტში და მესხეთში არ ჩატარდება რეფერენდუმი, პარლამენტის წევრს დაუშვებლად მიაჩნია „თურქი მესხების“ საქართველოში ჩამოსახლება. (ფეა)

ვინა ხართ, დოქტორო ზორგე?

— ეს შეკითხვა აქტუალურია დღესაც, როდესაც ლეგენდარული ჯაშუშის სიკვდილიდან განვლო მრავალმა წელიწადმა...

ამომწურავი პასუხი დღესაც არ არის გაცემული, თუმცა კი ზორგეს შესახებ ბევრი, ძალზე ბევრი ითქვა და დაიწერა. მასზე გადაიღეს ფილმები, დადგეს პიესები, დაიცვეს დისერტაციები, გამოაქვეყნეს რომანები...

ამჟამად ქართველ მკითხველს საშუალება ეძლევა გაეცნოს ნაწყვეტს ჰიტლერული პოლიტიკური დაზვერვის შეფის ვალტერ შელენბერგის (19–195) მემუარებიდან, რომელიც რიჰარდ ზორგეს ეძღვნება. მასში საუბარია არა მარტო ნაკლებად ცნობილ ფაქტებზე ზორგეს მოღვაწეობიდან, კერძოდ კი მის კონტაქტებზე გერმანიის სპეცსამსახურთან, არამედ დახატულია ზორგეს, როგორც პიროვნების პორტრეტი. ნიშანდობლივია, რომ სპეციალისტების მიერ სწორედ შელენბერგისეული შეფასებაა მიჩნეული ჭეშმარიტებასთან ყველაზე ახლოს მდგომად...

მაშ ასე, სიტყვა ეძლევა ჰიტლერული პოლიტიკური დაზვერვის შეფს...

ნიკო თევზაძე

რიხარდ ზორგეს საქმე

წიგნიდან „ლაბირინთი“



რუსების ჯაშუშური მოქმედების ერთ-ერთი მხარე, რომელმაც ჩემი ყურადღება მიიქცია, იყო რიხარდ ზორგეს საქმე ეს მოხდა 1940 წელს. ზორგეზე მიამბო ბატონმა რიტგენმა, რომელიც იმხანად სათავეში ედგა გერმანიის საინფორმაციო ბიუროს. ზორგეს მასთან ჯერ მიმოწერა ჰქონდა. მისი ყოველი წერილი რიტგენისადმი წარმოადგენდა ამომწურავ შპიონურ პატაკს.

უნდა ითქვას, რომ იმ პერიოდში ბევრი ნაცისტური ორგანიზაცია საზღვარგარეთ ხელს უშლიდა ზორგეს საქმიანობას. მიზეზი ამისა პოლიტიკური წარსული გახლდათ. ფონ რიტგენს სურდა, როგორმე მომეხსნა ეს შემაფერხებელი გარემოებები. მან მთხოვა გავცნობოდი ზორგეს პატაკებს, გავცნობოდი მის დოსიეს, რათა დამედგინა, შეიძლებოდა თუ არა ამ შეზღუდვების მოხსნა. ზორგეს პატაკებს რიტგენი დიდად აფასებდა და მათ გარეშე ვერ წარმოედგინა მუშაობა.

ზორგე მართლაც შესანიშნავად ერკვეოდა აღმოსავლეთის პრობლემებში. მისი პოლიტიკური ანალიზი ამ მხრივ სავსებით სწორი იყო. ასე თვლიდა რიტგენი და მეც დავეთანხმე. რაც შეეხება ზორგეს დოსიეს, იქ ვერაფერი ვნახე სანუგეშო. ცხადი იყო, რომ ზორგე ახლო წარსულში აქტიურად თანაუგრძნობდა გერმანიის კომპარტიას და კონტაქტში იყო მათთან, ვინც ცნობილნი იყვნენ ჩვენთვის, როგორც კომინტერნის აგენტები. ამავე დროს 1923–28 წლებში ზორგეს კონტაქტი ჰქონდა გერმანელ უკიდურეს ნაციონალისტებთან, მათ შორის ნაციონალ-სოციალისტებთანაც.

მე არ შემეძლო დავთანხმებოდი ფონ რიტგენს. მიუხედავად ბრწყინვალე ცოდნისა, მოიპოვებოდა უამრავი ფაქტი, რომელიც ზორგეს წინააღმდეგ მეტყველებდა. ამის მაგალითი იყო მისი კონტაქტები სტინესთან, მოიერიშეთა რაზმის ერთ-ერთ ხელმძღვანელთან, რომელიც 1934 წელს გაიქცა გერმანიიდან და იმხანად ჩინეთში ცხოვრობდა. სტინესი დაკავშირებული იყო ნაციონალ-სოციალისტური პარტიის ზოგიერთ წევრთან, რომლებიც ცნობილნი იყვნენ, როგორც პრორუსული ორიენტაციის მომხრენი. მიუხედავად ამისა რიტგენი თვლიდა, რომ ზორგეს ცოდნის კაცის არგამოყენება დიდი შეცდომაა. ის ამტკიცებდა, რომ მიუხედავად იმისა, აქვს თუ არა ზორგეს კავშირი რუსეთის დაზვერვასთან, შეიძლება მისგან მაქსიმალური სარგებლის მიღება. საბოლოოდ მან დამიყოლია, რომ მე დავიცავ ზორგეს ნაცისტური პარტიის წევრთა თავდასხმისაგან, მაგრამ იმ პირობით, რომ სამაგიეროდ ის მოგვაწვდის საიდუმლო მასალებს სსრკავშირის, ჩინეთისა და იაპონიის შესახებ. ოფიციალური კონტაქტი კი ზორგეს ექნება მხოლოდ ფონ რიტგენთან.

ამ მოლაპარაკების თაობაზე დაწერილებით მოვახსენე ჰეიდრიხს. ის დამეთანხმა, ოღონდ აღნიშნა, რომ აუცილებელია ზორგეს უმკაცრესი მეთვალყურეობის ქვეშ აყვანა. მისგან მიღებულმა ინფორმაციამ უნდა გაიაროს სპეციალური დამუშავება, რადგანაც ზორგეს თავისუფლად შეუძლია ყველაზე პასუხსაგებ მომენტში ტყუილი შემოგვაპაროს.

ზორგეს შესახებ საუბარი მქონდა მთავარ ინსპექტორ მაიზინგერთან, ამ ყველაზე თავზეხელაღებულ მაძებართან ჰეიდრიხის ბანდიდან. ის ტოკიოში ჩვენს ატაშედ ინიშნებოდა პოლიციურ საკითხებში. სწორედ მაიზინგერს ევალებოდა თვალი ედევნებინა ზორგეს ყოველი ნაბიჯისათვის. მან პირობა მომცა, რომ გულდასმით უთვალთვალებდა ზორგეს, რაც შეასრულა კიდეც. მაგრამ მაიზინგერი ურეკავდა უშუალოდ გესტაპოს უფროსს მიულერს, ამიტომაც მე ბევრი ვერაფრის გაგება ვერ მოვახერხე. გარეშეთათვის მათი საუბარი კოდირებული იყო. რამდენადაც მახსოვს, მაიზინგერის შეფასებები ძირითადად დადებითი იყო. ის ამტკიცებდა, რომ ზორგე ძალიან საჭირო კაცია, რადგანაც აქვს კონტაქტები იაპონურ სამთავრობო წრეებში. ასე თუ ისე, მოცემულ პერიოდში შემეძლო მშვიდად ვყოფილიყავი. მასალები, რომლებსაც ზორგე უგზავნიდა ფონ რიტგენს, მართლაც ძალზე მნიშვნელოვანი იყო. თავისი ხასიათით ეს ისეთი ცნობები გახლდათ, რომ დეზინფორმაცია გამორიცხული იყო. პირველი დარტყმა მივიღე 1941 წლის გაზაფხულზე, როდესაც ბერლინში ჩამოვიდა იაპონელთა საპოლიციო კომისია. კომისიის ხელმძღვანელმა მკითხა, ხომ არ უთვალთვალებს მაიზინგერი ტოკიოში გერმანიის საელჩოს ზოგიერთ წარმომადგენელსო, მე უარყოფითად ვუპასუხე. მაშინ იაპონელმა მითხრა, რომ თუკი თვალთვალს მაინც აქვს ადგილი, უმჯობესია მაიზინგერმა ტოკიოს პოლიციას მიაკითხოს, სადაც მას კვალიფიციურ დახმარებას გაუწევენ. ჩემთვის ცხადი გახდა, რომ მაიზინგერი მუშაობდა ძალზე უხეშად, რითაც მიიქცია იაპონიის პოლიციის ყურადღება ზორგესადმი.

რაც შეეხება ზორგესაგან მიღებულ ინფორმაციას, ის სულ უფრო მნიშვნელოვანი ხდებოდა. მაგალითად, მან იწინასწარმეტყველა, რომ სამთა პაქტი (ბერლინი, რომი, ტოკიო) არ მოუტანდა გერმანიას დიდ სარგებელს. მას შემდეგ, რაც ჩვენ დავიწყეთ კამპანია რუსეთის წინააღმდეგ, ზორგემ გაგვაფრთხილა, რომ იაპონია არავითარ შემთხვევაში არ მოახდენს საბჭოთა კავშირთან დადებული მშვიდობიანი ხელშეკრულების დენონსაციას. თვითონ ამ ხელშეკრულების დადების ფაქტი ჩვენთვის უდიდესი მოულოდნელობა გახლავთ. ზორგემ გვაცნობა აგრეთვე, რომ იაპონიის სახმელეთო ჯარები, ისევე როგორც ფლოტი და ავიაცია, საუკეთესოდ არიან უზრუნველყოფილნი საწვავით. შესაბამისად მათ ძალუძთ ხანგრძლივი დროის მანძილზე საომარი მოქმედებების წარმოება. მიმოიხილა რა იაპონიაში არსებული პოლიტიკური ვითარება, ზორგემ გააკეთა დასკვნა, რომ იაპონელების სამხედრო ოპერაციების ცენტრი მალე სახმელეთო ოპერაციებიდან (ჩინეთის წინააღმდეგ) გატანილ იქნებოდა საზღვაო ოპერაციებზე წყნარ ოკეანეში.

იაპონელებმა რიჰარდ ზორგე დააპატიმრეს 1942 წლის ზაფხულში. არავითარ ეჭვს არ იწვევდა ის, რომ იგი ეწეოდა ფართომასშტაბიან ჯაშუშობას რუსების სასარგებლოდ. „მან გაუმხილა რუსებს გერმანელთა თავდასხმის ზუსტი თარიღი (ამას სსრკ-ში არავინ ათხოვა ყური). მან აცნობა აგრეთვე რუსებს, რომ იაპონია სერიოზულად არ ემზადება სსრკ-სთან საომრად. ამან საშუალება მისცა რუსეთს მოეხსნა ციმბირიდან ჯარები და ყველაზე კრიტიკულ მომენტში გადაესროლა ისინი ფრონტზე გერმანიის წინააღმდეგ.

მაიზინგერმა დაუყოვნებლივ გვაცნობა ზორგეს დაპატიმრების შესახებ. გულდასმით ჩატარებულმა გამოძიებამ ცხადჰყო, რომ საქმეში გარეულია გერმანიის ელჩი იაპონიაში, ზორგეს ახლო მეგობარი გენერალ-მაიორი ეიგენ ოტტი (ყოფილი სამხედრო ატაშე). კარგად გამოიყენა რა მეგობრის კეთილგანწყობა, მისი განუსაზღვრელი ნდობა, ზორგემ შესძლო შეელწია საელჩოს საიდუმლო მასალებთან (ამაში დიდად დაეხმარა ოტტის ცოლი, რომელსაც ზორგე სპეციალურად ამისათვის დაუახლოვდა და რომელიც მისი საყვარელი გახდა. ნ.თ.) ელჩთან თავისი მეგობრული ურთიერთობის გამო ზორგემ მოიპოვა ბევრი საიდუმლო ინფორმაცია. შესაბამისად ოტტმა უნებლიედ უდიდესი დახმარება გაუწია ჯაშუშურ საქმიანობაში რიხარდ ზორგეს, რომელიც ახლო მეგობრად მიაჩნდა და თვალდახუჭული ენდობოდა. ოტტის ამ უპასუხისმგებლო საქციელმა უდიდესი ზიანი მიაყენა როგორც გერმანიას, ისევე იაპონიას. ამიტომაც იაპონელებმა მალე ის პერსონა non grata-ად გამოაცხადეს.

ჰიტლერთან ჩემი ხანგრძლივი საუბრისას შეეეცადე გამემართლებინა ჩვენი თანამშრომლობა ზორგესთან. ჰიმლერი ერთი მხრივ შეეცადა ჩემს დაცვას, მაგრამ ამასთან საჭიროდ ჩათვალა ყოველივე ჰიტლერისათვის მოეხსენებინა.

რაც შეეხება ზორგეს, ის იაპონელებმა ჩამოახრჩვეს 1944 წლის ნოემბერში.

ზორგეზე იაპონელების მიერ შეკრებილი ინფორმაცია წარმოადგენდა იმ მასალების ლოგიკურ გაგრძელებას, რომელსაც ჩვენ უკვე ფლობდით. ამან საშუალება მოგვცა საბოლოოდ ჩამოგვეყალიბებინა მისი, როგორც პიროვნების პორტრეტი.

ზორგე იყო კაცი, რომელიც მიდიოდა საკუთარი გზით და მუშაობდა მარტო. მისი წარმოშობა (დედა რუსი, მამა დიდი ხანი ცხოვრობდა რუსეთში) აისახა მის შეხედულებებზეც. ზორგეს იმედი ჰქონდა გერმანიისა და რუსეთის დაზაევებისა, რომელსაც ის აღიქვამდა, როგორც განუსაზღვრელი შესაძლებლობის ქვეყანას. ამასთან მას სძულდა, როგორც ფაშიზმი, ისე ნაციონალ-სოციალიზმი და სადაც კი შეეძლო, ყველგან თანამშრომლობდა მმართველობის ამ ორი ფორმის წინააღმდეგ.

ზორგეზე დიდი ზეგავლენა იქონია პირველმა მსოფლიო ომმა, როდესაც მას გული გაუცრუდა გერმანელ ხალხზე. ის ერთგვარ სულიერ ვაკუუმში აღმოჩნდა და მიეიდა დასკვნამდე, რომ მხოლოდ კომუნისტური იდეალები იხსნიან კაცობრიობას. მაშინ მიაპყრო მან ყური წითელ რუსეთს.

ჩემთვის ბოლომდე გამოცანად დარჩა, თუ რატომ აძლევდა რუსეთის დაზვერვა ესოდენ თავისუფლებას რიხარდ ზორგეს. ეფიქრობ, ამისი ახსნა ისევე ზორგეს უნიკალურ ცოდნაში უნდა ეძებოთ. ალბათ, რუსები მიხვდნენ, რომ ამ კაცისაგან უფრო მეტ სარგებელს მიიღებდნენ, თუკი მოქმედების სრულ თავისუფლებას მისცემდნენ. ამიტომაც ზორგეს პატიობდნენ ისეთ ცოდვებს, როგორიცაა უზომო გატაცება ქალებით, გამოხტომები სიმთვრალეში, უპასუხისმგებლო ლაყბობა და ყველაზე გადამწყვეტ მომენტში სასურველ გზაზე აყენებდნენ.

საგანგებოდ უნდა აღვნიშნო, რომ დაკითხვებზე ზორგემ არაფერი თქვა თავის ბერლინზე მუშაობის შესახებ. ეს შეიძლება იმით აიხსნას, რომ ზორგე უმალავდა თავის მოსკოველ უფროსებს ფონ რიტგენთან კავშირს. ეს დაეასკვენი მას შემდეგ, რაც გულდასმით შეისწავლე მისი ყველა პატაკი. არ ყოფილა არც ერთი შემთხვევა, როდესაც ზორგე ცდილიყო მოეტყუებინა გერმანული საიდუმლო სამსახური.

რაც შეეხება ზორგეს უიღბლო მეგობარს ეიგენ ოტტს, მაიზინგერი შეეცადა დაეღუპა ის. მე უდიდესი ძალისხმევა დამჭირდა მის გადასარჩენად. საბოლოოდ არანაირი სადამსჯელო ღონისძიება ოტტის მიმართ გატარებული არ ყოფილა.

ვალტერ შელენბერგი

თარგმნა ნიკო თევზაძემ

მსოფლიოს გზებზე

კულიკოვი ჩეჩნეთს არ ასვენებს

ჩეჩნეთის პრეზიდენტის ასლან მასხადოვის აზრით, „ვიდრე რუსეთის ფედერაციის შინაგან საქმეთა სამინისტროს ანატოლი კულიკოვი უხელმძღვანელებს – იგი მუდმივად უბედურების მიზეზი იქნება რუსეთში და კავკასიაში კი – არასტაბილურობისა“, – განაცხადა ჟურნალისტებისათვის მიცემულ ინტერვიუში ჩეჩნეთის პრეზიდენტის პრესმდივანმა, ყაზბეგ ხაჯიევმა.

მისი თქმით, ჩეჩნეთის პრეზიდენტმა განაცხადა, რომ „კულიკოვი ის ადამიანია, რომელსაც მხოლოდ ნგრევა შეუძლია, იგი არ არის შექმნილი შენებისათვის, კულიკოვს აბსოლუტურად არ ძალუძს პოლიტიკურად აზროვნება“. მასხადოვის აზრით, „კულიკოვის განცხადება პრეზიდენტიული დარტყმების განხორციელების შესახებ ჩეჩნეთის იმ რაიონებზე, სადაც „დამნაშავეთა“ დაჯგუფებებია თავმოყრილი, ოდნავადაც ვერ შეაშინებს ჩეჩენ ხალხს, რომელიც კულიკოვისგან სხვას არც არაფერს ელის“.

თავის მხრივ რუსეთის ფედერაციის პრემიერ-მინისტრმა, ვიქტორ ჩერნომირდინმა განაცხადა, რომ დაუშვებლად მიიჩნევს მთავრობის წევრების მიერ საკუთარი აზრის გამოთქმასა და პოზიციის დაფიქსირებას იმ საკითხების მიმართ, რომლებიც ჯერჯერობით გადასაწყვეტია და სამთავრობო დოკუმენტებში არ ასახულა. (გეა)

რუსეთის მთავრობამ შულერებს ნილი შეანერა

რუსეთის ფედერაციის ახალი საგადასახადო კოდექსის შესაბამისად აზარტული თამაშების ბიზნესის დაწესებულებებისათვის შემოღებული იქნება საგანგებო საგადასახადო რეჟიმი.

შესაბამისი კანონპროექტი უკვე მომზადებულია და სავსებით შესაძლებელია, რომ სახელმწიფო სათათბირომ უკვე მიმდინარე წლის ბოლომდე მიიღოს. ვარაუდობენ, რომ მხოლოდ ამ სახის გადასახადებით, სახელმწიფო ბიუჯეტში ყოველწლიურად 1 მილიონი დენომინირებული რუბლი შევა. ამჟამად რუსეთში აზარტული თამაშების ბიზნესის შემოსავლების დათვლა შეუძლებელია, მით უმეტეს, რომ გადასახადი შემოსავლის 90%-ს შეადგენს. (გეა)

ბრიპოლი ახალი იარაღის ასხმას აპირებს

დასავლეთის ქვეყნების სადაზვერო სამსახურების მონაცემებით, ერაყი საგარაუდოდ ლიბიას ბიოლოგიური იარაღის შექმნაში ეხმარება. ბოლო 7 თვის განმავლობაში 10 ერაყელი ბაქტერიოლოგი-სპეციალისტი ჩავიდა ლიბიის დედაქალაქში ტრიპოლელი კოლეგების დასახმარებლად.

ლიბიელმა სპეციალისტებმა ბაქტერიოლოგიური იარაღის შექმნისათვის ინტენსიური გამოკვლევები 7 წლის წინ დაიწყეს. დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა სამინისტროში ამ ინფორმაციის დადასტურებისაგან თავი შეიკავეს და აღნიშნეს, რომ ლიბია შეუერთდა საერთაშორისო კონვენციას ბაქტერიოლოგიური იარაღის აკრძალვის თაობაზე. თუმცა აღსანიშნავია, რომ დიდ ბრიტანეთს დაგეგმილი აქვს მასობრივი განადგურების იარაღის სალიკვიდაციო სამუშაოების გაგრძელება და ამიტომ გამოიძიებს ყველა ინფორმაციას, რომელიც ამ საკითხს შეეხება.

აშშ-ს, რომელმაც ლიბია ტერორისტული რეჟიმის სახელმწიფოთა სიაში პირველ ადგილზე დასვა, ეჭვი არ ეპარება ამ ქვეყნის უპატიოსნო ზრახვებში. აშშ-ის თავდაცვის მინისტრის, უილიამ ქოენის მოხსენებაში ლიბია ირანთან, ერაყთან და სირიასთან ერთად მოხსენებულია ისეთ სახელმწიფოდ, რომელიც „აგრესიულად მუშაობს“ ქიმიური, ბაქტერიოლოგიური და ბირთვული იარაღის შექმნაზე. (გეა)

ისრაელი კვლავ ძველ არღანს უკრავს და სახლებსაც აშენებს

ისრაელის მთავრობამ მდინარე იორდანეს დასავლეთ სანაპიროზე 200 სახლის ოდენობით ახალი ებრაული კვარტლის მშენებლობის გეგმა დაამტკიცა.

მშენებლობა დაიწყება აშშ-ის სახელმწიფო მდივნის, მადლენ ოლბრაიტის მოთხოვნების მიუხედავად, რომელმაც კატეგორიულად მოთხოვა ისრაელის ხელისუფლებას, რომ შეწყდეს ებრაული დასახლებების მშენებლობა იმ ტერიტორიებზე, რომელიც ჰელსინკის ხელშეკრულების მიხედვით პალესტინის ავტონომიის იურისდიქციაში გადავა. მაგრამ აშშ-ის პოზიციისა და ისრაელში ამერიკელი მედიატორის, დენის როზის ვიზიტის მიუხედავად ისრაელის პრემიერმა, ბენიამინ ნეთანიაჰუმ განაცხადა, რომ არ აპირებს მშენებლობების შეჩერებას. ისრაელის მთავრობა უარს აცხადებს უკვე აშენებული და ასაშენებელი სახლების საერთო რაოდენობის დასახელებაზე, თუმცა ზოგიერთი მონაცემებით ცნობილია, რომ მდინარე იორდანეს დასავლეთ სანაპიროზე უკვე 20%-ით გაიზარდა ებრაული სახლების რაოდენობა. (გეა)

არცერთ *ქვეყანაში არ ჩაივლის ახალი წლის დამე ისე, რომ ქვეყნის ხელმძღვანელი კაცი არ გამოვიდეს ტელევიზიით და არ მიულოცოს თავის ქვეშევრდომთ ახალი წლის დადგომა. სად, როდის და როგორ ხდებოდა ამ გადაღების მოწყობა, დიდი ხნის განმავლობაში საიდუმლოდ ინახავდნენ. მაგრამ, მოგეხსენებათ, საიდუმლოს მარადიულად შენახვა შეუძლებელია, თუ ის ერთ ადამიანზე მეტმა იცის. მაშ, ასე:*

როგორ ილებენ ბელადებს საახალწლოდ



ბრეჟნევს ნარბებს უღებავდნენ

ჩვენთან საახალწლო გამოსვლა ტელევიზიით ლეონიდ ბრეჟნევმა შემოიღო 70-იან წლებში. იგი გადაიღეს ოსტანკინოს ტელეცენტრში, სპეციალურად მოწყობილ სამთავრობო №6 სტუდიაში. ეს გადაღება ახალ წლამდე ერთი დღით ადრე ჩატარდა, სრული საიდუმლოების ვითარებაში გენერალურ მდივანთან ერთად სტუდიაში ყოფნა შეეძლოთ მხოლოდ ოპერატორს, ტელერადიოკომიტეტის თავმჯდომარეს და დაცვას. რეჟისორი და დანარჩენი პერსონალი მეორე ოთახში იყვნენ, რომელიც სქელი მინის კედლით იყო გადატიხრული სტუდიისაგან, რათა ხელი არაფის შეშალა „ძეირფასი ლეონიდ ილიჩისათვის“.

რამდენიმე წლის განმავლობაში ბრეჟნევი ტექსტს ქაღალდზე დაწერილს კითხულობდა, შემდეგ სუფლიორი გამოჩნდა – ქაღალდის ლენტა ტექსტით, რომელიც კამერის წინ გადიოდა. ილიჩს ჩასაწერად დიდხანს და მონდომებით ამზადებდნენ. საათობით უპუდრავდნენ სახეს და წარბებს უღებავდნენ. მას ხშირად ეშლებოდა სიტყვები, ენა ებმებოდა, ზმუოდა, პირს აწკლაპუნებდა. შემდეგ დაიწყეს სიტყვის მონტაჟი, რათა გენერალური მდივნის გამოსვლა ადამიანურს დამგვანებოდა.

ერთხელ გადაღებაზე ბრეჟნევს დაეძინა და გამოდგეიძებულმა საბჭოთა ხალხს მიულოცა... მშრომელთა სოლიდარობის საერთაშორისო დღე. ასეთი სირცხვილის შემდეგ გადაწყდა პროფესიონალის „კადრში ჩასმა“. მრავალი წლის განმავლობაში ამას კომპარტიისა და პოლიტბიუროს სახელით აკეთებდა ცენტრალური ტელევიზიის დირექტორთა საბჭოს ხელმძღვანელი იგორ კირილოვი. იგი ისე გულიანად და საზეიმოდ აკეთებდა ამას, რომ აღარც ანდროპოვს და აღარც ჩერნენკოს „ტელევარსკვლავობის“ სურვილი აღარ გასჩენიათ.

გორბაჩოვს სიტყვებზე მახვილი ეშლებოდა

მხოლოდ 1985 წელს მოხდა ასეთი ტელემილოცვების რესტაურაცია, მიხეილ გორბაჩოვის ინიციატივით.

გორბაჩოვს კრემლში იღებდნენ, სამუშაო კაბინეტში. ამბობენ, არ უყვარდა მიხეილ სერგეევიჩს ტელესუფლიორები. ამიტომაც მისი თვალები სულ მაგიდაზე იყო დარჭობილი, სადაც ქაღალდი იდო. ალბათ, ამიტომაც ხშირად სიტყვებზე მახვილს ურევდა, ზოგ სიტყვას საერთოდ ტოვებდა. გადაღებულ მასალას გორბაჩოვი ნახულობდა, გვთხოვდა ესა თუ ის პლანი შეგვესწორებინა, „შეგვემსხვილებინა“. საწყალი ოპერატორები საათობით „ასწორებდნენ“ გორბაჩოვის მასალას.

ელცინი შამპანურს დგამს

სულ სხვაა პრეზიდენტ ელცინის გადაღება. განსხვავებით სხვა დღესასწაულებისაგან (8 მარტი, დამოუკიდებლობის დღე (!) ვისგან დამოუკიდებლობის – რედ.შენ.), რომლებიც ხშირად პრეზიდენტის აგარაკზე გადაუღიათ, საახალწლო მილოცვა ყოველთვის მხოლოდ მის სამუშაო კაბინეტში იწერება. გადაღებებს ბორის ნიკოლაევიჩი, როგორც წესი, ნიშნავს 31 დეკემბერს, დილის 11 საათზე. არასდროს არ აგვიანებს, თავაზიანია და გულღია. ყოველთვის ემორჩილება რეჟისორების მითითებებს. ეტყვიან, დაჯექი – დაჯდება, ადექი – ადგება. წინამორბედისაგან განსხვავებით იგი ტექსტს ტელესუფლიორიდან კითხულობს და თავისი შეხედულებებისამებრ ცვლის ტექსტს. დუბლების გაკეთება არ უყვარს. გადაღებულ მასალას არ ნახულობს. საინტერესოა, თვით პრეზიდენტი თუ უყურებს ახალი წლის ღამეს თავის თავს?

ერთხელ მან პერსონალს უთხრა, რომ შარშანწინდელ გადაღებას შარშანდელი ჯობდაო. ე.ი. მართლა უყურებს ხოლმე.

გადაღების შემდეგ ტელევიზიის მუშაკებს ყოველთვის შამპანურს ჩუქნის, ქალებს ყვავილებს მიართმევს. აი, ასეთი ყურადღებიანია! სხვათა შორის, პირველმა ელცინმა მოინდომა მის გვერდით საახალწლო ნაძვისხე და შამპანური დაედგათ. „ასე უფრო შინაურულია“, – გადაწყვიტა პრეზიდენტმა.

ჰო, მართლა, კინაღამ დაგვავიწყდა

იხსენებს მოსკოველი პენსიონერი გალინა აბრამის ასული კაპლანი:

– სტალინი პირადად არასდროს გვილოცავდა ახალ წელს, არც რადიოთი და არც ტელევიზიით. არც ტელევიზორები იყო მაშინ. ყოველ წელს, ღამის 12 საათს ხუთი წუთი რომ დააკლდებოდა, იური ლევიტანი კითხულობდა პარტიის ცენტრალური კომიტეტის მილოცვას საბჭოთა ხალხისადმი. მოგვიწოდებდნენ გვყვარებოდა სამშობლო და მის სასიკეთოდ გვეშრომა. ეს ტრადიცია ხრუშჩოვმაც გააგრძელა და ეთერში არ „ძერებოდა“. აი ბრეჟნევი კი მრავალი წლის განმავლობაში თვითონ გამოდიოდა ტელევიზიით. სანამ ახალგაზრდა იყო, ლამაზი, ნორმალური მეტყველებით, მისი ყურება სასიამოვნო იყო.

„ექსპრეს გაზეთა“, №51

ინფორმაცია

ოთხთა კავშირი რეალობაა

„უკრაინა დაინტერესებულია ამიერკავკასიის ქვეყნებთან ეკონომიკური თანამშრომლობით“ – აცხადებს გენადი უდოვენკო.

„1997 წლის საგარეო ურთიერთობების შეფასებისას განსაკუთრებული მნიშვნელობა მიენიჭა უკრაინის პრეზიდენტის საქართველოში და საქართველოს პრეზიდენტის უკრაინაში ვიზიტებს“, – თქვა უკრაინის საგარეო საქმეთა მინისტრმა გენადი უდოვენკომ, რომელიც გაეროს გენერალური ასამბლეის 52-ე სესიის თავმჯდომარედ აირჩიეს.

მისი თქმით, უკრაინის პოლიტიკურ ცხოვრებაში ასევე მნიშვნელოვანი მომენტი იყო უკრაინის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის და საგარეო საქმეთა მინისტრის საქართველოში ვიზიტებიც.

„ჩვენი ქვეყანა დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ეკონომიკური თანამშრომლობის გააქტიურებას შავი ზღვის ქვეყნების ეკონომიკური კავშირის წევრ ქვეყნებს შორის და სათანადო მონაწილეობასაც მიიღებს ამ ორგანიზაციის მიერ მოწონებული პროექტის რეალიზაციაში, რომელიც შავი ზღვის რეგიონში კრიზისული სიტუაციების მოწესრიგებას ეხება“ – თქვა უდოვენკომ და დასძინა, რომ კელავაც გაღრმავდება მრავალმხრივი თანამშრომლობა ოთხ ქვეყანას – უკრაინას, საქართველოს, აზერბაიჯანსა და მოლდოვას შორის. (ელიზი-ნიუსი)

საბერძნეთი – ჩვენი სამხედრო პარტნიორი

გუშინ საბერძნეთში ხელი მოეწერა სამხედრო თანამშრომლობის ხელშეკრულებას.

გუშინ საბერძნეთის რესპუბლიკაში ოფიციალური ვიზიტით მყოფი საქართველოს თავდაცვის მინისტრი გენერალ-ლეიტენანტი ვარდიკო ნადიბაიძე და საბერძნეთის თავდაცვის მინისტრი ხელს მოაწერენ საქართველოსა და საბერძნეთის შორის სამხედრო-ტექნიკური თანამშრომლობის გრძელვადიან ხელშეკრულებას. როგორც „ელიზი-ნიუსს“ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს პრესსამსახურმა აცნობა, 8 იანვარს, რუსეთის ფედერაციის სამხედრო დელეგაციის საქართველოში ვიზიტის დასკვნით დღეს, საქართველოს თავდაცვის სამინისტროში ხელი მოაწერეს საოქმო დოკუმენტებს, რომლის ერთ-ერთი პუნქტით, საქართველოს შეიარაღებულ ძალებს გადაეცემა სამხედრო ჰოსპიტალი და ავტო-სარემონტო ბაზა, რომელიც მანამდე რუსეთის ფედერაციის სამხედროებს ემსახურებოდა. (ელიზი-ნიუსი)

ზურაბ მახარაძე:

არქივი ერის დოკუმენტური მეხსიერებაა

ინტერვიუ საქართველოს სახელმწიფო საარქივო დეპარტამენტის თავმჯდომარესთან, ბატონ ზურაბ მახარაძესთან

მეორე გვერდიდან

არ იცის, რომ ეს შენობა ფარავს იმ დიდ განძს – იმ ფასდაუდებელ დოკუმენტებს, რომლებიც ჩვენი ერის, ჩვენი ყოფის ისტორიას ასახავენ.

– უპირველეს ყოვლისა, გეთანხმებით იმაში, რომ თბილისელთა უმრავლესობას წარმოდგენა არა აქვს რა ინახება იმ საცავებში, რომლებიც ამ კოლორიტულ შენობაშია განთავსებული. ქვეყნის მასშტაბით თუ ვიმსჯელებთ, ბევრად უარესი მდგომარეობაა. ქალაქების და რაიონების მოსახლეობა თითქმის არანაირ ინტერესს არ ავლენს ამ დარგისადმი. ისეთი შთაბეჭდილება რჩება, რომ ეროვნული საგანძური, რომელსაც მთელი ჩვენი კოლექტივი ასეთი რუდუნებით ეუფლით, თითქოსდა არავის სჭირდება. მთელს მსოფლიოში დამკვიდრებულია აზრი იმის შესახებ, რომ არქივი ერის დოკუმენტური მეხსიერებაა. და თუ ქვეყანას მეხსიერება დაუქვეითდა, ეს ეროვნული ტრაგედია იქნება.

– მართალი ბრძანდებით, მაგრამ იყო პერიოდი, როცა ამ მეხსიერების დაქვეითებას ხელისუფლებაც ეხმარებოდა. მე მხედველობაში მაქვს კომუნისტური რეჟიმი. ეს არქივი, რამდენადაც მე ეიცი, ყველასათვის ხელმისაწვდომი არ იყო. ყოველ შემთხვევაში რაღაც განყოფილებები არსებობდა, სადაც ყველას არ შეეძლო იქ არსებული დოკუმენტების გაცნობა.

– მე მეტსაც გეტყვით, იყო პერიოდები, როცა საარქივო სამმართველო (მაშინ ასე ერქვა) შს სამინისტროს დაქვემდებარებაში იმყოფებოდა, ამიტომ იყო გარკვეული შეზღუდვები ზოგიერთ საარქივო მასალაზე. თუმცა ეს აბსოლუტურად არ იყო სწორი. დღეს, როცა უკვე მოხსნილია გრიფი საიდუმლო, მოლოდ ღიმილსღა იწვევს, თუ რა იყო იმ დოკუმენტებში დაფარული.

ის, რაც ხალხისათვის დღესაც ხელმიუწვდომელია, უშიშროების სამსახურის არქივში ჩაკეტილი მასალებია, რომელიც იმ პერიოდს მოიცავს, როცა საქართველოს კაენის აჩრდილმა გადაუარა. ბუნებრივია, ბევრს აინტერესებს, თუ რატომ დახვრიტეს მათი დედები, მამები, ახლობლები – სწორედ ეს დოკუმენტებია დღეს გასაიდუმლოებული. როცა მე პირადად დავინტერესდი ამ მასალების ბედით, უშიშროების სამსახურის თანამშრომლებმა მითხრეს, რომ ეს არქივი განადგურებულია, მაგრამ მე ეიცი, რომ ნაწილი იმ მასალებისა გადარჩენილია, თუმცა მათი გზაკვალი ჩემთვის დღემდე გაურკვეველია. არის ერთადერთი იმედი – 1995 წელს პარლამენტმა მიიღო კანონი ეროვნული ფონდის შესახებ, რომლის თანახმადაც უშიშროების სამინისტროს, ისევე როგორც შს სამინისტროს და საგარეო საქმეთა სამინისტროს ჩვენდა საბედნიეროდ კანონმა არ მისცა უფლება დოკუმენტების მუდმივად შენახვისა. ეს იმის გარანტიაა, რომ ყველა საჭირო დოკუმენტი შეინახება არქივში და მას ხალხს ეეღარავინ დაუმალავს.



– ამჟამად თუ არის თქვენს დაწესებულებაში აკრძალული ფონდი?

– სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ, არანაირი აკრძალული ფონდი არა გვაქვს.

– რამდენად რეალურია ის ფაქტი, რომ ახალი კანონის შესაბამისად, უშიშროება და შს სამინისტროები დოკუმენტებს არქივს ჩაბარებენ. მითუმეტეს ამის პრეცენდენტი მათი მხრიდან ჯერ არ ყოფილა.

– საერთოდ უშიშროების სამსახურს შექმნის დღიდან ჩვენთვის არანაირი დოკუმენტი არ ჩაუბარებია, მიუხედავად იმისა, რომ არანაირი საკანონმდებლო საფუძველი ამისათვის არ არსებობდა. მაგრამ ცხადია, მაშინ ვერავინ გაუბედავდა მოთხოვნას ჩაბარების თაობაზე. ახალი კანონის შესაბამისად კი დაკანონდა, რომ დოკუმენტები შექმნიდან 15 წლის შემდეგ უნდა ჩაბარდეს არქივს.

შს სამინისტროს დოკუმენტები ნაწილობრივ გვაქვს, მაგრამ მათ მიერ ჩადენილი რაიმე მნიშვნელოვანი ბოროტმოქმედება ამ მასალების მიხედვით არ იკვეთება. ისინი ხომ ყველანაირ დანაშაულს ოსტატურად კინძავენ, ისე, რომ მათ მიერ დაშვებული „შეცდომები“ არ ჩანდეს.

ჩემი ერთი მოსაზრება მინდა გითხრათ. დღეს რომ დაეინებით ითხოვენ 37-იანი წლების მასალების გამოქვეყნებას, მე ამის კატეგორიული წინააღმდეგი ვარ. იმ პერიოდში, როგორც ამბობენ, ძმა ძმას აჭერინებდა და ახლობელი – ახლობელს. დღეს კი ისედაც ნახევარი საქართველო მეორე ნახევარს ებრძვის. ამ მასალების სააშკარაოზე გამოტანამ კი მათ შთამომაელებს შორის შეიძლება ახალი ურთიერთდაპირისპირება წარმოშვას. ეს კი, მოგეხსენებათ, კარგს არაფერს მოგეტანს.

– დღეს არსებული კრიზისის ფონზე, ალბათ, საქართველოს არქივსაც უამრავი პრობლემა დაუგროვდა...

– პრობლემა ნამდვილად ბევრი გვაქვს. სათანადო სახსრების უქონლობის გამო დაკონსერვებულია კინოფოტოფონოდოკუმენტების ცენტრალური სახელმწიფო არქივის სპეციალური შენობის მშენებლობა. დაირღვა აუდიოვიზუალური დოკუმენტების შენახვისათვის აუცილებელი სპეციფიკური პირობები, ძველი კინოდოკუმენტების არაალებად ფირზე გადამყვანი სამუშაოები და ეს ყველაფერი ხდება ქვეყანაში არსებული ეკონომიკური და ენერგოკრიზისის გამო.

სავალალო მდგომარეობაში იმყოფება საქართველოს რაიონული და საქალაქო არქივები. ყველგან შეიმჩნევა დოკუმენტების შენახვის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მოძველება, რიგ შემთხვევაში კი – ინგრევა.

ენერგოკრიზისის შედეგად დარღვეულია დოკუმენტების დაცვის რეჟიმი, რაც დოკუმენტების ფიზიკურ-ქიმიური დაზიანების, საცავებში ობის, მწერებისა და მღრღნელების გაჩენის საშიშროებას ქმნის.

ცდას არ დავაკლებთ, რომ ჩვენთვის მობარებული განძი გადავარჩინოთ.

– გმადლობთ საუბრისათვის.

ხათუნა მაღრაძე

ინფორმაცია

ჩინეთის ტვირთი ევროპაში საქართველოს გავლით გადაიზიდება

1998 წლის 5-7 იანვარს უზბეკეთის რესპუბლიკის დედაქალაქ ტაშკენტში საქართველოს, უზბეკეთის და აზერბაიჯანის მთავრობათა წარმომადგენლების მორიგი შეხვედრა გაიმართა, რომელზეც 1996 წლის სერახსის ხელშეკრულების განხორციელების მიმდინარეობისა და 1998 წელს ტრანსკავკასიის დერეფანში ტვირთების გადაზიდვის ორგანიზაციის საკითხები განიხილეს.

საქართველოს მხარეს ტრანსპორტის მინისტრი, მერაბ ადეიშვილი, ფოთის საზღვაო-საეაჭრო ნავსადგურის უფროსი, ჯემალ ინაიშვილი, ბათუმის საზღვაო-საეაჭრო ნავსადგურის უფროსის მოადგილე, ნიკო ჩარკვიანი, საქართველოს რკინიგზის დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილე, გუგული მაისურაძე, საქართველოს ელჩი უბზეკეთის რესპუბლიკაში, გივი ადუშელიშვილი, შ.პ.ს. „ჯორჯიანტრანსექსპედიციის“ წარმომადგენლები: ირაკლი იაშვილი და პაატა ტრაპაიძე წარმოადგენდნენ.

კავკასიური დერეფნის ამოქმედების შემდეგ უბზეკეთი საქართველოს სტრატეგიული პარტნიორი გახდა. გასულ წელს იმპორტ-ექსპორტის სახით საქართველოზე 400 ათასმა ტონა უზბეკურმა ტვირთმა გაიარა. 1998 წელს კი ტვირთბრუნვის მოცულობა 800 ათას ტონამდე გაიზრდება. საქართველოს ტრანსპორტის მინისტრის, მერაბ ადეიშვილის ინფორმაციით, საქართველოს სატრანსპორტო ინფრასტრუქტურა, რკინიგზა და პორტები მზად არიან ამ მოცულობის ტვირთის გადასამუშავებლად.

ცნობისათვის: 1996 წელს საქართველოს პორტებიდან 37 ათასი ტონა ბამბა გადაიტვირთა; 1997 წელს – 80 ათასი ტონა, 1998 წელს დაიგეგმა 180 ათასი ტონა ბამბის გატანა. ამჟამად ფოთში ერთდროული შენახვისთვის 15 ათასი ტონის ტევადობის სასაწყობო მეურნეობა არსებობს. უზბეკეთის მთავრობა დაინტერესებულია ახალი ტერმინალებისა და საწყობების მშენებლობით. ამ მიზნით განზრახულია ერთობლივი ქართულ-უზბეკური საააქციო საზოგადოების შექმნა. უზბეკეთის მთავრობას ფოთში ბამბის საწყობების შესაქმნელად 3 მლნ აშშ დოლარის ოდენობის ინვესტიციების ჩადება აქვს განზრახული. ტაშკენტის შეხვედრაზე მერაბ ადეიშვილმა განაცხადა, რომ ფოთის პორტი ბამბის გამსვლელ პუნქტად უკვე ჩამოყალიბდა. პორტში გაიხსნა ინგლისური ლაბორატორია, სადაც ხარისხის კონტროლი ხდება. ამან შემსყიდველი კომპანიების დაინტერესება გაზარდა. საქართველოზე გამავალმა მარშრუტმა უსაფრთხო და საიმედო გზის სახელი უკვე დაიმკვიდრა, რის გამოც უზბეკეთის მთავრობა ბამბის გარდა სხვა ტვირთების გატარებასაც საქართველოს გავლით გეგმავს. ამასთან, ფოთისა და ბათუმის პორტებიდან განზრახულია ევროპიდან საკვები პროდუქტების ტრანსპორტირება. ამის თაობაზე უზბეკეთის მთავრობამ სპეციალური დავალება მისცა დარგობრივ სამინისტროებს.

სერახსის ოთხეულს ჩრდილო-აღმოსავლეთში 900 კილომეტრიანი რკინიგზის ხაზის კაშკარ-ოშის მშენებლობის დამთავრების შემდეგ, უკვე წელს უახლესი გზით ჩინეთი შეუერთდება. ტრანსპორტის სამინისტროს ცნობით, მომავალში ჩინეთის ტვირთი ევროპაში საქართველოს გავლით გადაიზიდება. (გეა)

ლატარია ყველასათვის

9 იანვარს გამართულ 52-ე ტირაჟში „ლატარია ყველასათვის“ მოიგო შემდეგმა ნომრებმა:

5000 ლარი – 574402;
1000 ლარი – 107209;
900 ლარი – 247379;
800 ლარი – 375905;
700 ლარი – 249576;
600 ლარი – 539305;
500 ლარი – 579341;
400 ლარი – 525871;
300 ლარი – 469963;
200 ლარი – 478783;
100 ლარი – 468098;
90 ლარი – 353567;
90 ლარი – 232503;
80 ლარი – 347349;
80 ლარი – 104141;
70 ლარი – 400927;
70 ლარი – 511965;
60 ლარი – 326028;
60 ლარი – 238050;
50 ლარი – 361894;
50 ლარი – 262870;
40 ლარი – 359694;
40 ლარი – 160028;
30 ლარი – 353636;
30 ლარი – 167658;
25 ლარი – **0363;
20 ლარი – **9214;
10 ლარი – ***022;
10 ლარი – ***870;
5 ლარი – ***021;
5 ლარი – ***618;
5 ლარი – ***547;
2 ლარი – ***141;
2 ლარი – ***349;
2 ლარი – ***503;
2 ლარი – ***567;
2 ლარი – ***927;
2 ლარი – ***965;
1 ლარი – ***098;
1 ლარი – ***209;
1 ლარი – ***305;
1 ლარი – ***341;
1 ლარი – ***375;
1 ლარი – ***379;
1 ლარი – ***402;
1 ლარი – ***576;
1 ლარი – ***783;
1 ლარი – ***871;
1 ლარი – ***905;
1 ლარი – ***963;

ავტომანქანა მოიგო ბილეთმა №109375

„ლატარია ყველასათვის“ გათამაშდება ყოველ პარასკევს.

1997 წლის 52-ე ტირაჟის ლატარიის ბილეთების მფლობელები, რომელთა ბოლო ოთხი ციფრია **1036**; შეუძლიათ 16 იანვარს მობრძანდნენ ტელევიზიის შენობაში „ლატარია ყველასათვის“ მორიგი ტირაჟის გათამაშებაზე.

მოგებები გაიცემა შაბათობით 11.00 საათიდან 16.00 საათამდე სპორტის სასახლესთან.

მოგებები 500 ლარის ზევით გაიცემა პარასკევს საქ. ტელევიზიის შენობაში 21.00 საათზე.

გილოცავთ მოგებას!

კაიფვორდი - ს



თარაზულად: 1. არაგველების მაგიური რიცხვი; 4. „ანის“ ნიეთი; 6. „მიზეზიანი“ აბი; 7. „ობიანი“ ბაზა; 8. ნოტებზე მომღერალი ქვიშა; 9. „ბანზე“ დასახური; 10. ფქვილისთვის აუცილებელი „ცერი“; 12. „იას“ ჩამონათვალი; 13. „რბილი“ მოძრაობა; 15. „ზური“-ს დასასვენებელი საბუთი; 16. როგორი სატარებელია ზაფხულში შინელი? 19. ზაეის მოყვარული საზომი; 20. „დალის“ სამხედრო წოდება; 21. მარტოხელა ტანი; 22. დაუნდობელი „ტიკი“; 23. ლითონი, რომელიც გეუბნება „დაიძინე“ (რუს.კავშ.); 25. „ცარცის“ დასალეი (რუს.კავშ.); 26. „დასაფანტი“ სანადირო საშუალება; 27. მშვენიერი „სილა“.

შვეულად: 1. მუსიკალური ლარი; 2. დასაკუჭი სათავსო; 3. ლაპარაკი „ბარით“; 4. „უცაბედი“ „პრიზი“; 5. გრძნობა, სადაც შუაში ყვავი ჩხავის; 7. „აუტანელი“ ეშმაკი; 11. „ზღვით“ გამოყოფილი ზოლი; 13. დასაჯდომი ძელი; 14. გამის მეშვიდე ნოტის ნათესავი; 17. რა გინდა თვალო ცხვირზე? 18. სიმღერა, რომელიც საჭიროა და აუცილებელი (რუს.კავშ.); 19. ვაკელი ბოძი; 23. მოსასმენი „ენა“; 24. ავადმყოფობა, რომელიც გეძახის (რუს.კავშ.).

თინათინ გურგენიძე

ამოგდებული გზებზე

თვეში 500 ცალი ჭყუპისცალი

ამერიკელმა ბიოლოგმა, რიჩარდ სიდმა განაცხადა, რომ გადაწყვეტილი აქვს ექვსი თვის შემდეგ ჩიკაგოს გარეუბანში გახსნას კლინიკა, რომელიც ადამიანთა კლონირებაზე იქნება სპეციალიზებული. მისი თქმით, კლინიკა აღჭურვილი იქნება სუპერთანამედროვე ტექნოლოგიებით, რაც თვეში 500-მდე ადამიანის კლონირების საშუალებას მისცემს.

მეცნიერმა არ მიიღო არცერთი საყვედური, რომლითაც მას შეახსენეს, რომ ადამიანზე ასეთი ცდების ჩატარება აკრძალულია და ეწინააღმდეგება ბუნების, ეთიკისა და მორალის კანონებს. სიდის თქმით, ამერიკაში ასეთი კანონი არ არსებობს, ხოლო კლონირების ყველა მოწინააღმდეგე გონებრივად შეზღუდული ადამიანია, რომელიც ვერც მორალსა და ვერც რელიგიაში ვერ ერკვევა. მეცნიერი თავის წამოწყებაზე უარს არც იმ შემთხვევაში იტყვის, თუ აშშ-ის ხელისუფლება კლონირებას კანონით აკრძალავს. ასეთ შემთხვევაში სიდი კლინიკას იმ სახელმწიფოში გახსნის, სადაც კანონით ასეთი რამ აკრძალული არ იქნება, თუნდაც იქვე მექსიკაში. (გეა)

სექტები ისევ თვითმკვლელობას ქადაგებენ

ესპანეთის პოლიციამ ერთ-ერთი სექტის მიერ ქალაქ სანტა-კრუზში მასობრივი თვითმკვლელობის მორიგი მცდელობა ჩაშალა, პოლიცია სექტის სახელს საიდუმლოდ ინახავს.

ამ სექტის წევრებს სჯეროდათ, რომ სამყაროს აღსასრული 7 იანვრის საღამოს დადგებოდა და შეეცადნენ სხვა სამყაროში უფრო ადრე გადასულიყვნენ, ვიდრე „გვიანი არ იქნებოდა“. 31 ადამიანს, რომელთა შორის 4 ბავშვი იყო, დაგეგმილი ჰქონდათ თვითმკვლელობა ჩაედინათ კუნძულ ტენერიფეზე ვულკან ტეიდესთან ახლოს. პოლიციამ დაადგინა სექტის ლიდერი, რომელიც გერმანელი ფსიქოლოგი, ჰაიდე ფიტკაუ-გარტე აღმოჩნდა. (გეა)

გერმანელები აპოლიტიკურები გახდნენ

დასავლელი ექსპერტების მონაცემებით, გერმანიაში პოლიტიკური პარტიების რაოდენობის შემცირება შეინიშნება. გასული წლის განმავლობაში სოციალურად აქტიური გერმანელების უმრავლესობამ პრაქტიკულად ყოველგვარი ინტერესი დაკარგა ქვეყნის პოლიტიკური ცხოვრების მიმართ.

ოფიციალური სტატისტიკაც იმას მოწმობს, რომ ყველა წამყვანმა პარტიამაც დაკარგა თავიანთ მომხრეთა უმრავლესობა. კერძოდ, გერმანიის ყველაზე დიდი პოლიტიკური ორგანიზაციის – სოციალ-დემოკრატიული პარტიის რიგები გასულ წელს 25 ათასმა ადამიანმა დატოვა, ქრისტიანულ-დემოკრატიული პარტიიდან 15 ათასი ადამიანი გავიდა, „თავისუფალი გერმანიის“ პარტიიდან – 4 ათასი და ა.შ.

დამკვირვებელთა თქმით, პარტიის წევრების ასეთი მოქმედებების ახსნა შესაძლებელია მხოლოდ მათ მიერ პოლიტიკურ ცხოვრებაში მონაწილეობის ინტერესის დაკარგვით და თანამედროვე პოლიტიკოსებში იმედგაცრუებით. ექსპერტები ამტკიცებენ, რომ გერმანიის ახლანდელ პოლიტიკოსებს მეორე ვადით არჩევის შანსი თითქმის არ დარჩათ. (გეა)

განცხადებები

ვასრულებთ ყველა სახის სამშენებლო და სარემონტო სამუშაოებს (კომპლექსურად) იაფად და ხარისხიანად (გარანტიით). დარეკეთ 53-32-58 (20 სთ-დან 24 სთ-მდე).

იყიდება 2 სართულიანი სახლი თამარ მეფის გამზირზე. შიდა კიბეებით პირველიდან მე-2 სართულზე. გამოდგება სუპერმარკეტისთვის ან საოფისედ. ფასი 200000$ ტელ. 23-14-68

იყიდება 3 ოთახიანი მოსკოვის პროექტის ბინა თემქაზე. III მ/რ-ნი, V სართული. სათავსოებით და ბაღის ნაკვეთით. ფასი 7000$ ტელ. 35-09-96

ვიქირავებ 2 ან 3 ოთახიან ბინას თავისუფლების მოედანთან ახლოს ტელ. 93-19-99; (დღისით) 38-51-35 (საღამოს) ირაკლი

მანანა თვაურს!

გილოცავ შობა-ახალ წელს. გისურვებ ყოველივე კარგს და ბედნიერ დედობას.

მთავარი რედაქტორი
ნოდარ გრიგალაშვილი

ტელეფონები:
რედაქტორი: 93-20-36,
რედაქტორის მოადგილე: 93-18-41

რედაქციის მისამართი:
თბილისი, თავისუფლების მოედანი, პუშკინის ქ. 5
გაზეთის ინდექსი 66447
ფასი 50 თეთრი

დამფუძნებელი და გამომცემელი საქართველოს გაერთიანებული რესპუბლიკური პარტია

რეგისტრირებულია თბილისის კრწანისის რაიონის სასამართლოს მიერ. №06/4-444